სახ. საბ. ბიბლიოთ.

პროლეტარელებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

ГАЗЕТА ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს და მინისტრთა საბჭოს ორგანო

№ 244 (19886) ◆ ოთხშაბათი, 23 ოქტომბერი, 1985 წელი ◆ ფასი 3 კაპ.

მეგობრული შეხვედრა

სოფია. 21 ოქტომბერი. (საკ-დისი). დღეს მთავრობის რეზიდენცია „ბოიანაში" გაიმართა ვარშავის ხელშეკრულების მონაწილე სახელმწიფოთა პოლიტიკური საკონსულტაციო კომიტეტის თათბირზე საბჭოთა კავშირის პარტიისა და მთავრობის დელეგაციის მეთაურად სოფიაში ჩამოსული სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის მ. ს. გორბაჩოვისა და ბულგარეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის, ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს თავმჯდომარის ტ. ჟივკოვის მეგობრული შეხვედრა

კამპუჩიის სახალხო-რევოლუციური პარტიის ცენტრალური კომიტეტის გენერალურ მდივანს

ამხანაგ ჰენგ სამრინს

საბჭოთა კავშირის კომუნისტურ პარტიის ცენტრალური კომიტეტის სახელით და პირადად გილოცავთ კამპუჩიის სახალხო-რევოლუციური პარტიის ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის მაღალ პოსტზე არჩევას.

გისურვებთ წარმატებით განგეხორციელებინოთ კამპუჩიის სახალხო-რევოლუციური პარტიის V ყრილობის გადაწყვეტილებანი, რომელთა მიზანია პოლ პოტის რეჟიმის ნეგატიური შედეგების სრული ლიკვიდაცია, თქვენს ქვეყანაში სოციალისტური საზოგადოების საფუძვლების აშენებისათვის ხელშემწყობი პირობების შექმნა.

გამოთქვამ რწმენას, რომ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიისა და კამპუჩიის სახალხო-რევოლუციური პარტიის თანაშრომლობა კვლავაც განვითარდება საბჭოთა და კამპუჩიელი ხალხების ინტერესებისათვის, აზიისა და მთელი მსოფლიოს მშვიდობის განმტკიცების საკეთილდღეოდ.

მ. გორბაჩოვი.

ვარშავის ხელშეკრულების მონაწილე სახელმწიფოთა პოლიტიკური საკონსულტაციო კომიტეტის თათბირი

სოფია, 22 ოქტომბერი. (საკ-დისი). ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკის დედაქალაქში დღეს მუშაობა დაიწყო ვარშავის ხელშეკრულების მონაწილე სახელმწიფოთა პოლიტიკური საკონსულტაციო კომიტეტის თათბირმა.

თათბირში მონაწილეობენ:

ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკისაგან — ტ. ჟივკოვი — ბულგარეთის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანი, ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს თავმჯდომარე, დელეგაციის მეთაური; გ. ფილიპოვი — ბულგარეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, ცენტრალური კომიტეტის მდივანი, ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე; ჰ. ალადენოვი — ბულგარეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტიბიუროს წევრი, ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრი;

პოლონეთის სახალხო რესპუბლიკისაგან — ვ. იარუზელსკი — პოლონეთის გაერთიანებული მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი, პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის სახალხო თავდაცვის მინისტრი; დ. სტან

იდეოლოგიური მუშაობის ეფექტიანობა

ახლა, როცა შეჯამდა და ცნობილია რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის ყველა დარგის მუშაკთა წლევანდელი წლის ცხრა თვის მუშაობის შედეგები, წარმატებები და ნაკლოვანებები, აგრეთვე გაანგარიშებულია სასაქონლო პროდუქციის გამოშვების მეოთხე კვარტალის დავალებანი, რომლებიც იციან უშუალო შემსრულებლებმა, თითოეული პირველადი პარტიული ორგანიზაციის, პროპაგანდისტული და სააგიტაციო კადრების საპატიო და საპასუხისმგებლო მოვალეობაა საფუძვლიანად გააანალიზონ გაწეული მუშაობა, ოპერატიულად დასახონ ნაკლოვანებათა გამოსწორების, წლის ბოლომდე დარჩენილ დროში სახელმწიფო დავალებათა უთუო შესრულების იდეოლოგიური უზრუნველყოფის კონკრეტული ღონისძიებანი. სწორედ ამაზეა საუბარი ქვემომდებარე წერილში.

სიტყვისა და საქმის ერთიანობით

ყოველდღიურად სულ უფრო მცირდება მანძილი მეთერთმეტე ხუთწლედის ფინიშამდე, ახლოვდება პარტიის მორიგი, XXVII ყრილობის გახსნის დღე, ყრილობისა, რომელიც საფუძვლიანად გააანალიზებს განვლილ ხუთწლეულში გაწეულ მუშაობას, დასახავს მომავალ ხუთწლედში წარმატებული მუშაობის მეცნიერულად დასაბუთებულ რეკომენდაციებს. და სწორედ ახლა გვმართებს განსაკუთრებული პასუხისმგებლობით გარჯა, ის, რომ არ შევეგუოთ ნაკლოვანებებს, გეგმების შეუსრულებლობას, ჩამორჩენილ საწარმოებს, უკეთ მუშაობისათვის დავრაზმოთ მშრომელები. ამიტომაც წლის ბოლომდე დარჩენილ მოკლე დროში ყველაფერი უნდა ვიღონოთ იდეურ-აღმზრდელობითი მუშაობის დიდი პოტენციური შესაძლებლობების ყველგან უკეთ, მაქსიმალური გამოყენებისათვის, მის ცხოვრებასთან, მწვავე პრობლემების გადაჭრასთან მჭიდროდ დაკავშირებისათვის. ამ პასუხსაგებ მუშაობისას ყოველ პარტიულ ორგანიზაციას უნდა ახსოვდეს პარტიის სახელმძღვანელო დებულება, რომ თვით ყველაზე მკაფიო და საინტერესო პროპაგანდა, ყველაზე მარჯვე და გონივრული სწავლება, ყველაზე ნიჭიერი ხელოვნებაც კი ვერ მიაღწევს მიზანს, თუ არ არის განმსჭვალული ღრმა იდეებით, რომლებიც მჭიდროდ უკავშირდება დღევანდელი ცხოვრების რეალობებს და შემდგომი წინსვლის გზას გვიჩვენებს.

იდეოლოგიური მუშაობისადმი ასეთი მიდგომა საშუალებას იძლევა მოკლე დროში მივიღოთ უკუგება, გავააქტიუროთ ადამიანის ფაქტორი, მივაღწიოთ იმას, რომ თითოეული თავის სამუშაო ადგილზე კეთილსინდისიერად და თავდადებით შრომობდეს. ამის მაგალითები საკმაოდ გვქონია და გვაქვს. „როცა საჭირო ხდება, — თქვა ამხანაგმა მ. ს. გორბაჩოვმა სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1985 წლის აპრილის პლენუმზე, — მარტო იმის წყალობით, რომ კოლექტივები და მათი ხელმძღვანელები როგორღაც აქტიურდებიან, უკეთ მუშაობას იწყებენ, ხერხდება მოკლე ვადებში შრომის ნაყოფიერების ისეთი ოდენობით გადიდება, რომ ზოგჯერ მთელი ხუთწლედის საგეგმო დავალებებს უტოლდება".

სახალხო მეურნეობის განვითარებისადმი, საფინიშო დავალებათა შესრულებისადმი ასეთი მიდგომა ყველაზე მეტად გვჭირდება ახლა და ეს უნდა გავაკეთოთ, უნდა ავამოქმედოთ, საქმის სამსახურში ჩავაყენოთ რეზერვები. ისინი კი არის თითოეულ საწარმოსა და მშენებლობაზე, თითოეულ კოლმეურნეობასა და საბჭოთა მეურნეობაში, და ეს ყველაზე მეტად ჩვენმა პარტიულმა ორგანიზაციებმა, პარტიის იდეურმა მებრძოლებმა იციან. მათ კარგად უწყიან, რომ აქ ბევრი რამ არის დამოკიდებული ადამიანებთან მუშაობაზე, მათს პასუხისმგებლობაზე, იმაზე, რომ ვასწავლოთ ადამიანებს, თუ რა და როგორ გააკეთონ. „რაიმე გადაწყვეტილების განხორციელება რომ გვინდა, — წერდა ვ. ი. ლენინი, — ჯერ უნდა შევაგნებინოთ მასებს, დავარწმუნოთ მისი შესრულების აუცილებლობაში, ვუჩვენოთ ამის გზები და მეთოდები".

ახლა სისტემატურად უნდა ვაანალიზებდეთ ყოველდღიური, ყოველკვირეული, ყოველთვიური გეგმებისა და ვალდებულებების შესრულების მდგომარეობას, რაც ყველაზე მეტად გვჭირდება ჩამორჩენილ საწარმოებსა და ობიექტებზე. გვჭირდება მაგალითად, ენერგოუზრუნველყოფაში, ქვანახშირის მოპოვებაში, ქიმიურ და მსუბუქ მრეწველობაში, მანქანათმშენებლობაში და სხვ. პარტიის იდეური მებრძოლები თავიანთ საუბრებში, პოლიტინფორმაციებში, ლექციებში, საქმიან შეხვედრებზე სამეურნეო ხელმძღვანელებთან, სპეციალისტებთან ერთად ღრმად უნდა აანალიზებდნენ სიძნელეების, ჩამორჩენის მიზეზებს, სახავდნენ მათი აღმოფხვრის გზებს. განსაკუთრებულ ყურადღებას უნდა აქცევდნენ ადამიანის ფაქტორის გააქტიურებას, დისციპლინისა და ორგანიზებულობის განმტკიცებას, პასუხისმგებლობის ამაღლებას მინდობილი საქმისათვის. ასეთ მიდგომას უნდა ვიჩენდეთ იქაც, სადაც მხოლოდ საშუალო დონეზე ართმევენ თავს დავალებათა შესრულებას, არ სურთ ძალების დაძაბვა, რითაც ძალზე ბევრს ვკარგავთ. აქ არის სწორედ ჩვენი დიდი რეზერვი. ყოველივე ამისათვის კი უნარიანად უნდა გამოვიყენოთ ახლა მიმდინარე პარტიული ორგანიზაციების საანგარიშო-საარჩევნო კრებები.

დიდია ინტენსიფიკაციის როლი ჩვენს წარმატებებში. მაგრამ მხოლოდ იმ პირობით, თუ პარტიის იდეური მებრძოლები ყურადღებას არ მოაკლებენ მისი განხორციელების პრაქტიკული გზების ძიებას. და აქ არაფერს არა აქვს მეცნიერულ-ტექნიკურ პროგრესზე, შემოქმედებითს მიხვედრილობაზე მეტი ძალა. ამის გარეშე წარმატებას ვერ მივაღწევთ, ვერ მივაღწევთ, თუ არ განვაწყვეთ ადამიანები ახლის ძიებისათვის. ამასთან ისიც უნდა გავითვალისწინოთ, რომ მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესი მარტო ახალი მოწყობილობა და მანქანა-იარაღები როდია, ეს არის თითოეულში პროფესიული სიამაყის გრძნობის აღზრდისათვის, საქარხნო მარკის ღირსებისათვის და შრომის პროგრესული ორგანიზაციისა და ანაზღაურებისათვის სიტყვითა და საქმით, ორგანიზატორული მუშაობით ყოველდღიური ბრძოლა და ზრუნვა, საბოლოო შედეგების მიღწევა.

ბევრი კოლექტივი ახლა მხარს უბამს ჩვენი პარტიული ფორუმების ღირსეული შეხვედრისათვის რესპუბლიკაში შობილ თაოსნობებსა და ინიციატივებს. მაგალითად, ტყიბულის ორჯონიკიძის სახელობის შახტის გვირაბგამყვანის ქ. მერკვილაძის წამოწყებას დევიზით — „მთელი საწარმოო პოტენციალი — ლენინური პარტიის XXVII ყრილობას!", № 14 სამშენებლო ტრესტის მეოთხე სამმართველოს სამეურნეოანგარიშიანი ბრიგადისა და „საქჰიდროენერგომშენის" ცინვალჰესის სამშენებლო სამმართველოს ბრიგადის ხელმძღვანელების, სოციალისტური შრომის გმირის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატის ვ. ჭელიძისა და გ. მაცაბერიძის ინიციატივას „პარტიის XXVII ყრილობას — 27 დამკვრელური კვირა" და სხვ.

ყველა ეს ინიციატივა და თაოსნობა მიზნად ისახავს ჩამორჩენის დაძლევას, მეტის მიღწევას, წლის ფინიშზე წარმატებით გასვლას. მათი მონაწილეების შრომითს წარმატებებში დიდი წვლილი შეუძლიათ შეიტანონ კომუნისტებმა, იდეოლოგიურმა აქტივმა. მათ ყოველდღიური მასობრივ-პოლიტიკური და ორგანიზატორული მუშაობით კოლექტივების ინიციატივა და ენერგია მთლიანად უნდა მოახმარონ შეჯიბრების ქმედითობის ამაღლებას, წესრიგისა და დისციპლინის განმტკიცებას და საბოლოო ანგარიშში დავალებათა გადაჭარბებით, ვადამდე შესრულებას.. ამ მხრივ მისაბაძია, მაგალითად ზესტაფონის ფეროშენადნობთა ქარხნის ბევრი აგიტატორი და პროპაგანდისტი, ლექტორი და პოლიტინფორმატორი, (რომლებიც თავიანთი პარტიული ორგანიზაციების ხელმძღვანელობითა და დახმარებით სასიკეთო გავლენას ახდენენ შრომითი კოლექტივების მუშაობაზე. კერძოდ, აქაური აგიტატორების გადაწყვეტილებაა ყოველდღე იყვნენ საქმის კურსში, გააკონტროლონ, თუ როგორ სრულდება გეგმები და საჭიროებისას მიიღონ სათანადო ზომები, საკითხი დააყენონ პარტიული ორგანიზაციის წინაშე, ბოლომდე მიჰყვნენ საქმეს.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის XXIV პლენუმმა ახალი ამოცანები დასახა სოფლის მშრომელთა წინაშე მიწათმოქმედების კულტურის შემდგომი ამაღლებისა და ამ დარგში არსებული ვიწრო ადგილების აღმოსაფხვრელად. ჩაბმული არიან რა სოციალისტურ შეჯიბრებაში, ისინი იბრძვიან ამ ამოცანების გადაწყვეტისათვის, ზრდიან მოსავლის აღებისა და საკვების დამზადების ტემპს, მეცხოველეობის პროდუქტიულობას, ემზადებიან პირუტყვის საიმედოდ გამოზამთრებისათვის. მთელ ამ საქმიანობაში მათ დიდი სტიმული მისცა 1984-1985 წლის ზამთრის პერიოდში პირუტყვის წარმატებით გამოზამთრებისათვის, მეცხოველეობის პროდუქტების წარმოებისა და შესყიდვის გადიდებისათვის გაშლილ საკავშირო სოციალისტურ შეჯიბრებაში ჩვენი რესპუბლიკის გამარჯვებამ.

შეჯიბრების მონაწილეთა მიზანი როგორც ქალაქად, ისე სოფლად ერთია — არ დაუშვან ჩამორჩენა, წარმატებით დაამთავრონ წელი და მეთერთმეტე ხუთწლედი მთლიანად. ასეთ პირობებში ყოველდღიური იდეოლოგიური მუშაობის ყურადღების ცენტრში ყოველთვის უნდა იყოს გეგმის უთუო შესრულება, პროდუქციის დანაკარგების მინიმუმამდე შემცირება, მისი ხარისხის ამაღლება, სამუშაო დროის ყოველი წუთის, ყოველი კილოგრამი ლითონის, კილოვატსაათი ელექტროენერგიის, ყოველი გოჯი მიწის გაფრთხილება და დიდი ეფექტიანობით გამოყენება.

სამწუხაროა, რომ კვლავ საკმაოდ გვხვდება უხარისხო პროდუქცია, მაინცდამაინც დიდი პროგრესი არ იგრძნობა ამ მეტად მნიშვნელოვან საქმეში. ეს კი არ ეკადრება ჩვენს სამეურნეო ხელმძღვანელებს, სპეციალისტებს, პირველ რიგში კი ჩვენს აქტივისტებს, რომლებსაც თავიანთი მართალი სიტყვითა და პირადი მაგალითით ბევრი სასიკეთო რამის გაკეთება შეუძლიათ. პროდუქციის ხარისხის ამაღლებისათვის. მით უმეტეს, რომ ხარისხი მარტო ეკონომიკური კი არა სოციალური და ზნეობრივი კატეგორიაც არის. ამ მხრივ მუშაობის ძირეული გარდაქმნა მართებს თბილისის საწარმოო გაერთიანება „ჩარხმშენებლის" ხელმძღვანელებს, აქაურ პროპაგანდისტულ და საგიტაციო კადრებს, რომლებიც, როგორც ჩანს, შეეგუენ დაბალი ხარისხის ჩარხების მთელი სერიის გამოშვებას.

ყოველივე ეს გვავალებს ისე წარვმართოთ იდეოლოგიური მუშაობა, რომ იგი პოლიტიკურად ზრდიდეს და აწრთობდეს ადამიანებს, განაპირობებდეს მათ ყოველდღიურ ქცევასა და მოქმედებას საზოგადოებაში, კოლექტივში, ოჯახში, დადებითს გავლენას ახდენდეს ადამიანის მიერ ისეთ ფაქტორებზე, როგორიც არის ინიციატივიანობა, სიახლის გრძნობა, დისციპლინა, პასუხისმგებლობა, მიღწეულით დაუკმაყოფილებლობა და სხვა. ამ თვისებების მქონე ადამიანი კი ყოველთვის მზად არის იმუშაოს მთელი გულითა და სულით, ებრძოლოს უწესრიგობას, უხარისხო პროდუქციის გამოშვებას და სხვ.

სწორედ ამგვარად უდგებიან საქმეს ვანის რაიონის ტობანიერის კოლმეურნეების (გამგეობის თავმჯდომარე — ჯ. კეკელიძე, პარტიული ორგანიზაციის მდივანი — ა. ხელაძე) სპეციალისტები, პროპაგანდისტული და საგიტაციო კადრები. ისინი დიდ მუშაობას ეწევიან ადამიანთა იდეურ-პოლიტიკური წრთობისა და პროფესიული დაოსტატებისათვის, შეუნელებელ ყურადღებას აქცევენ სპეციალისტებში, რიგით კოლმეურნეებში ეკონომიკური ცოდნის, ეკონომიკური აზროვნების გამომუშავებას, მის პრაქტიკულ საქმიანობაში გამოყენებას, რაც ვლინდება რეალური გეგმების შემუშავებაში, მათი შესრულებისათვის შეჯიბრების სწორ ორგანიზაციაში, შესრულებულ სამუშაოებში, მათ ხარისხში, მომჭირნეობასა და ყაირათიანობაში. კოლმეურნეობაში რძის წარმოება რომ ამაღლდა და მისი თვითღირებულება შემცირდა, ეს სწორედ დანაკარგების წინააღმდეგ ბრძოლის გაძლიერების, საქმისადმი მეურნეობრივი მიდგომის შედეგია.

დღეს არ შეიძლება განსაკუთრებულ ყურადღებას არ ვაქცევდეთ იდეოლოგიური, ორგანიზატორული და სამეურნეო მუშაობის ერთიანობის, სიტყვის საქმით განმტკიცების, აღმზრდელობითს მუშაობაში სამეურნეო ხელმძღვანელთა, სპეციალისტთა აქტიურად ჩაბმის საკითხებს. ეს აუცილებელია, რადგან ზოგან თითქოს კი არ წარმოებს ადამიანებთან აღმზრდელობითი მუშაობა, თითქოსდა ზრუნავენ მათი პროფესიული დაოსტატებისათვის, შრომის უკეთ ორგანიზაციისათვის, მაგრამ სასურველი შედეგი არ ჩანს, ამის მიზეზი ხშირად ის არის, რომ ირღვევა იდეოლოგიური და ორგანიზატორული მუშაობის ერთიანობის პრინციპი, აგიტატორი გატაცებულია წმინდა სააგიტაციო მუშაობით და ივიწყებს მთავარს — ორგანიზატორული ღონისძიებების განხორციელებას, მოწოდებებს, დარიგებებს არ განამტკიცებს კონკრეტული საქმეებით, არასწორია იმის ფიქრიც, რომ თითქოს პროპაგანდისტი, აგიტატორი მხოლოდ გამოთქვამს აზრს, პროპაგანდას უწევს, მასებს კი ვიღაც სხვა რაზმავს, სხვა იბრძვის კონკრეტული შედეგებისათვის.

ასევე მნიშვნელოვანია იდეოლოგიურ მუშაობაში სამეურნეო ხელმძღვანელთა, სპეციალისტთა აქტიური ჩაბმა, იდეოლოგიური და სამეურნეო მუშაობის ერთიანობა. მით უმეტეს დღეს, როცა ასე მწვავედ დგას ეკონომიკის ინტენსიფიკაციის რელსებზე გადაყვანის, მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის მიღწევების ფართოდ დანერგვის საკითხები. თბილისის სავაჭრო საწარმოო გაერთიანება „განთიადის" დირექტორი თ. მაისურაძე ამ პოსტზე უცბად არ მოსულა, იგი ორ ათეულ წელზე მეტ ხანს მუშაობდა ამ დარგში. მისი დაწინაურებისა და წარმატებათა ერთ-ერთი განმაპირობებელი ფაქტორი იდეოლოგიური და სამეურნეო მუშაობის, სიტყვისა და საქმის ერთიანობა გახდა. იგი დღენიადაგ იმის პროპაგანდას ეწევა და თავისი ყოველდღიური საქმიანობითაც იმას ადასტურებს, რომ ეკონომიკის აღმავლობა შეუძლებელია, თუ არ შევქმნით ამისათვის საჭირო სოციალურ და იდეოლოგიურ წანამძღვრებს, ასევე შეუძლებელია გადავწყვიტოთ სოციალისტური შეგნების განვითარების პრობლემები, თუ არ დავეყრდენით ეკონომიკური და სოციალური პოლიტიკის მტკიცე საფუძველს.

აქ ასევე უდგებიან საქმეს პირველადი პარტიული ორგანიზაციები. მაგალითად, საწარმოს ექსპერიმენტული საამქროს დამკომპლექტებელი მუშა, პირველადი პარტორგანიზაციის მდივანი თინათინ ქორიღლიშვილი დიდი ყურადღებით ეკიდება ახალგაზრდა მუშების აღზრდასა და პროფესიულ დაოსტატებას. ამაში მას ეხმარება მარქსიზმ-ლენინიზმის შემსწავლელ სკოლაში შეძენილი ცოდნა, იგი აღმზრდელობითთან ერთად დიდ ყურადღებას აქცევს ორგანიზატორულ მუშაობას, მშრომელებისადმი პრაქტიკულ დახმარებას, სიტყვის საქმით განმტკიცებას. ეს კიდევ უფრო მეტად წარმოაჩენს ხოლმე მისი სამეურნეო და აღმზრდელობითი მუშაობის რეალურ წვლილს ფინიშის სწორზე სასახელოდ გასვლისათვის ბრძოლაში...

პირველი ოქტომბრიდან მასობრივად დაიწყო მეცადინეობა პარტიული სწავლებისა და ეკონომიკური განათლების სისტემაში. ეს სასწავლო წელი უნარიანად უნდა გამოვიყენოთ ჩვენი პარტიული ფორუმების ღირსეული შეხვედრისა და წლის ფინიშზე წარმატებით გასვლისათვის ბრძოლაში. პროპაგანდისტები მოვალენი არიან მთელი გულითა და სულით მოეკიდონ კომუნისტთა, მშრომელთა იდეურ-პოლიტიკურ და ეკონომიკურ მომზადებას, მათ პროფესიულ დაოსტატებას, რათა ისინი თავიანთ სამუშაო უბნებზე გაუკეთებელსა და შეუსრულებელს არ ტოვებდნენ არაფერს, მხარში ედგნენ პარტიულ ორგანიზაციებს გეგმებისა და ვალდებულებათა შესრულების გზაზე ყოველგვარ სიძნელეთა დაძლევაში.

ახლა ჩვენს პროპაგანდისტებს, აგიტატორებს, პოლიტინფორმატორებსა და ლექტორებს მხედველობიდან არ უნდა რჩებოდეთ გეგმებისა და ვალდებულებების შეუსრულებლობის არცერთი ფაქტი, ისინი რეაგირების გარეშე არ უნდა ტოვებდნენ უდისციპლინობის, უპასუხისმგებლობის არცერთ გამოვლინებას. მაშინ წარმატება ყოველთვის გარანტირებული იქნება, როგორც ეს არის, მაგალითად, „კასპელექტროაპარატის" ქარხანაში, სადაც ძნელად ეგუებიან მცირე ნაკლოვანებებსაც კი, დროულად ახორციელებენ პროფილაქტიკურ ღონისძიებებს...

ხუთწლედის ფინიშზე წარმატებით გასვლისათვის, სიძნელეების დაძლევისათვის ბრძოლაში მით მეტად დავირაზმებით, უფრო დავიპყრობთ ადამიანთა გონებასა და გრძნობებს, მკვეთრად გავააქტიურებთ მთელ იდეოლოგიურ მუშაობას, რაც უფრო დროულად და ოპერატიულად გადავიტანთ ამ მუშაობის სიმძიმის ცენტრს ძირეულ რგოლებში — ბრიგადებსა და საამქროებში, დიფერენციულად მივუდგებით ადამიანებს, რაც უფრო მაღალ იდეურ და ორგანიზაციულ დონეზე განვახორციელებთ პროპაგანდისტული და სააგიტაციო მუშაობისადმი სწორ და მოქნილ პარტიულ ხელმძღვანელობას. მხოლოდ ასე შევძლებთ შევიტანოთ ჩვენი რეალური წვლილი წლის ფინიშის მტკიცე იდეოლოგიურ უზრუნველყოფაში, მეთერთმეტე ხუთწლედის წარმატებით დამთავრებაში.

დ. კაკაბაძე,
საქართველოს სსრ დამსახურებული ჟურნალისტი.

მშვიდობა—დედამიწას

22 ოქტომბერს თბილისში გამართულ საქართველოს დედაქალაქის საზოგადოებრიობის წარმომადგენელთა ომის საწინააღმდეგო მიტინგზე გაისმა მგზნებარე მოწოდება — ავლაგმოთ მილიტარიზმისა და ომის ძალები, უზრუნველვყოთ მტკიცე მშვიდობა და ხალხთა საიმედო უშიშროება. ამ მიტინგით რესპუბლიკაში დაიწყო განიარაღებისათვის მოქმედების კვირეული, რომელიც ბოლო წლების მანძილზე მშვიდობის მსოფლიო საბჭოს მოწოდებით ყოველ შემოდგომაზე იმართება მთელ ჩვენს პლანეტაზე.

„ძირს ომი!", „ძირს — ვარსკვლავეთის ომები!", „მსოფლიოს — მშვიდობა!" — წარწერილია ტრანსპარანტებზე, რომლებიც ხელთ უპყრიათ გიორგი სააკაძის მოედანზე, საქართველოს ვ. ი. ლენინის სახელობის პოლიტექნიკური ინსტიტუტის მთავარი კორპუსის წინ შეკრებილ მრავალათასიანი მიტინგის მონაწილეებს. ისინი აქ მოვიდნენ, რათა გამოხატონ თავიანთი აზრები და გრძნობები მსოფლიოში შექმნილი ვითარების, მშვიდობისა და ომის, სიკეთისა და ბოროტების, გონიერებისა და უგუნურების ძალებს შორის ბრძოლის უმაღლესი დაძაბულობის გამო.

მიტინგის გახსნისას, საქართველოს მშვიდობის დაცვის რესპუბლიკური კომიტეტის თავმჯდომარემ, პროფესორმა ა. დ. ალექსიძემ ხაზგასმით აღნიშნა, რომ ახლა საშემოდგომო მშვიდობიანი შეტევა იძენს განსაკუთრებულ ძალას, რომელიც ომის საწინააღმდეგო მოძრაობას მიანიჭა ახალმა შორსგამიზნულმა საბჭოთა ინიციატივებმა. საფრანგეთში ვიზიტის დროს სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის მ. ს. გორბაჩოვის მიერ საქვეყნოდ გამოცხადებული სსრ კავშირის კონსტრუქციული და რეალისტური წინადადებანი საერთაშორისო ურთიერთობის რადიკალური გაჯანსაღებისა და ყველა ქვეყნისა და ხალხის უშიშროების განმტკიცებისაკენ შემობრუნების შესაძლებლობას ქმნის.

შეკრებილთა, ყველა კეთილი ნების ადამიანის სანუკვარი ოცნებები გამოხატეს მიტინგზე გამოსულმა მწერალმა-აკადემიკოსმა, სოციალისტური შრომის გმირმა, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატმა გ. გ. აბაშიძემ, ტრიკოტაჟის საწარმოო გაერთიანება „ბახტრიონის" მქსოველმა ა. ვ. მოზგოვაიამ, საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის მექანიკა-მანქანათმშენებლობის ფაკულტეტის სტუდენტმა კ. თ. ქღენტმა, ვაქცინებისა და შრატების სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის დირექტორის მოადგილემ, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტმა თ. გ. ჭანიშვილმა, საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის სტუდენტმა, ინდოელმა ბაბუ კადარუმ. მათ შეშფოთებით ილაპარაკეს იმაზე, რომ ჩვენი პლანეტა უკვე ბირთვული იარაღის საშიშ საწყობად გადაიქცა, გამალებული შეიარაღება კი იმპერიალისტების მიზეზით კვლავ გრძელდება და კოსმოსურ სივრცეში იჭრება.

ორატორებმა გულისწყრომით დაგმეს კოსმოსის მილიტარიზაციის რეიგანისეული გეგმა და ხაზგასმით აღნიშნეს, რომ ეს ბოროტი ზრახვა [illegible] კატასტროფას [illegible] არ ვკარგავთ და ველით, თქვეს მათ, რომ ჟენევაში, სადაც მოლაპარაკების მაგიდაზე დადებულია ახალი საბჭოთა წინადადებები, საბჭოთა კავშირ-ამერიკის უმაღლესი დონის მომავალ შეხვედრაზე ამერიკის შეერთებული შტატები პასუხისმგებლობით მოეკიდება მათ. სსრ კავშირის კეთილი მაგალითის ძალამ, მსოფლიო საზოგადოებრიობის აზრის გავლენამ, მილიონთა ნებამ უნდა აიძულოს ამერიკის შეერთებული შტატების ადმინისტრაცია დაიოკოს თავისი მილიტარისტული ზრახვანი, მოუხმოს გონებას და დათანხმდეს ეფექტიან შეთანხმებას კაცობრიობის სიცოცხლისა და მომავლის გულისათვის.

მიტინგის მონაწილეებმა წერილი გაუგზავნეს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალურ მდივანს პერეს დე კუელიარს, რომელშიც რწმენა გამოთქვეს, რომ საბოლოოდ გაიმარჯვებენ ჰუმანიზმის, გონიერებისა და პროგრესის ძალები, განაცხადეს, რომ მზად არიან კვლავაც ძალ-ღონის დაუშურებლად მიიღონ მონაწილეობა მშვიდობისათვის, განიარაღებისათვის, საერთაშორისო დაძაბულობის შენელებისათვის ყველა პატიოსანი ადამიანის წმიდათა-წმიდა ბრძოლაში. (საქინფორმი).

სურათზე: მიტინგის დროს.

გ. ზარაშვილის ფოტო (საქინფორმის ფოტოქრონიკა).

აქტებმა და მიმოწერამ საქმეს ვერ უშველა

ახალქალაქისა და წალკის რაიონები ლილოს კომბინატში უხარისხო და არასტანდარტულ კარტოფილს გზავნიან

ახლანდელმა უამინდობამ უარყოფითად იმოქმედა ბოსტნეულის ხარისხზე. შეიქმნა ერთგვარი სიძნელეები ზამთრის საცავების შესავსებად. რესპუბლიკის ხელმძღვანელი ორგანოები საჭირო ღონისძიებებს ახორციელებენ სიძნელეების დასაძლევად, იმისათვის, რომ წლის ყოველ დროს ხილბოსტნეულით უზრუნველყონ თბილისის, რუსთავის, სხვა ქალაქებისა და რაიონების მოსახლეობა, მომხმარებელს შეუმსუბუქდეს ბაზარში ძვირად ღირებული მეტად საჭირო პროდუქტების შეძენა. ასეთ დროს საზოგადოებრივი მეურნეობების, თვით რაიონების ხელმძღვანელთა პრესტიჟისა და ღირსების საქმეა უამინდობასთან ჭიდილში მოწეული ჭირნახულის სტანდარტისა და ხარისხის დაცვით ხანგრძლივი შენახვისათვის ლილოს კომბინატის საცავებში დაბინავება.

უხარისხო და უკონდიციო პროდუქციის კომბინატში მიწოდების შესახებ „კომუნისტის" საგუშაგოს კრიტიკულ გამოსვლებს ბევრი რაიონის ხელმძღვანელი საქმით გამოეხმაურა, რაიკომების

„კომუნისტის" საგუშაგო

ბიუროებზე მკაცრი მსჯელობით, დასახული ღონისძიებებით საქმეს წინ წაიწია და გეგმებიც გადაჭარბებით შეასრულეს. ასე მოიქცნენ ბოლნისისა და მარნეულის მშრომელები ხახვის დამზადების დროს და ბოგდანოვკის მშრომელები — კარტოფილის დამზადებისას.

გაზეთის კრიტიკული შენიშვნა ყურად იღო აგრეთვე ახალციხის რაიონმა. მართალია, რაიონს დღემდე არა აქვს შესრულებული ხახვისა და კარტოფილის საცავებში ჩაწყობის გეგმები, მაგრამ რაც შემოზიდეს, სტანდარტული და ხარისხიანია.

21 ოქტომბრისათვის რესპუბლიკაში დასამზადებელი 15.700 ტონის ნაცვლად შემოზიდული და დაბინავებული იყო 12.700 ტონა ხახვი. აქედან საცავებში სწრაფსარეალიზაციოდ შენახული 2.073,4 ტონიდან რეალიზებულია 445,5 ტონა. ზოგიერთ სექციასა და საცავებში ვნახეთ გაღივებული ბოლქვები, სანამ პროდუქცია სასაქონლო სახეს დაკარგავდეს, საჭიროა მისი რეალიზაცია.

ტემპის გაძლიერება მართებთ გარდაბნის, გორის, კასპის, მცხეთის, საგარეჯოს და ხაშურის საზოგადოებრივ მეურნეობებს, რომლებსაც დღემდე არ შეუსრულებიათ კომბინატში ჩასაწყობი ხახვის საგეგმო დავალებები არადა, დამზადების ვადები იწურება.

32.500 ტონა კარტოფილიდან დღემდე დამზადებული და საცავებში ჩაწყობილია 26.931 ტონა. გეგმები გადაჭარბებით შეასრულეს დმანისის, ადიგენის, თეთრი წყაროს, ბოგდანოვკის რაიონებმა. მათ ნახელავზე წუნი არ თქმულა. მაგრამ ყველა მეკარტოფილეობის რაიონი ასე როდი იქცევა და თავს როდი იწუხებს ხარისხოვანი და სტანდარტული კარტოფილის საცავებში დაბინავებისათვის. ეს უპირველესად ითქმის ახალქალაქისა და წალკის რაიონების საზოგადოებრივ მეურნეობებზე, რომლებიც დღემდე უპასუხისმგებლოდ, ზერელედ ეკიდებიან ამ მეტად საჭირბოროტო კამპანიას.

ამას გვათქმევინებს პროდუქციის ხარისხის განმსაზღვრელი კომისიის 19 ოქტომბრის აქტი, რომელშიც ვკითხულობთ: 10-დან 19 ოქტომბრის ჩათვლით წვიმების დროს რესპუბლიკის მთელი რიგი რაიონებიდან, კერძოდ, წალკისა და ახალქალაქის რაიონებიდან კომბინატში უმეტესად კარტოფილის გადაზიდვა ხდება გადაუხურავი ავტომობილებით, კარტოფილს გზაზე აწვიმს და აუარესებს მის სასაქონლო სახეს. კარტოფილში ძალზე ბევრი მიწაა შერეული, ტუბერები მთლიანად ტალახიანია. სულ სახედაკარგული კარტოფილი ორივე რაიონიდან მიღებულია 2.150 ტონა.

უფრო ადრე, 8 ოქტომბერს, წალკის აგროსამრეწველო გაერთიანების თავმჯდომარის ვ. ეგორიანის სახელზე კომბინატის დირექტორმა რ. აბაშიძემ დეპეშა გაგზავნა, სადაც წერდა: კარტოფილი იგზავნება (ვადაურჩეველი, წვრილი, უსტანდარტო, დიდი რაოდენობით მიწიანი. გთხოვთ მიიღოთ ზომები.

ამ დეპეშას კი არა, რაიონის ხელმძღვანელები დღემდე „კომუნისტის" კრიტიკასაც არ გამოხმაურებიან, ხოლო წალკის დამზადების საქონელმცოდნემ კირიაკ ალმანოვმა, რომელიც კომბინატში სპეციალური მინდობილობით არის მივლინებული, საცავებში ამ უხარისხო და არასტანდარტულ პროდუქციას როცა ვათვალიერებდით, მაშინ წაიხუმრა, გაზეთში რომ დამწერეთ, მთელმა რესპუბლიკამ გამიცნოო.

ხუმრობის ხასიათზეა კირიაკ ალმანოვი. კარტოფილის სასაწყობო მეურნეობის მატერიალურად პასუხისმგებელი პირი ზაურ გოგიბერიძე კი გულშეწუხებული გვეუბნება, რა ვიღონოთ, როგორ მოვიქცეთ არ ვიცით წალკელების მიმართ, რომლებთანაც ვერაფერი გავაწყეთო.

ვფიქრობთ, საქართველოს კომპარტიის წალკის რაიკომის პირველი მდივანი ო. ხრისტიანოვი ახლა მაინც ჩაერევა ამ საქმეში და უხარისხო პროდუქციის გამომგზავნი მეურნეობების ხელმძღვანელთა მიმართ მიიღებს გადამწყვეტ ზომებს.

21 ოქტომბერს კომბინატში დაიწყო კომბოსტოს მიღება და ზამთრის საცავებში დაბინავება. კომბოსტო გეგმით 8.000 ტონაა დასამზადებელი. ახალციხელმა მებოსტნეებმა 22 ტონა კომბოსტო რკინიგზის ვაგონით გამოგზავნეს, ჭარხლის პირველი პარტია კი შემოზიდეს მცხეთელებმა, მალე კომბოსტოს, ჭარხლის და სტაფილოს მიღება-ჩაწყობა გაჩაღდება. ეს კვლავ დაძაბულ შრომასთან არის დაკავშირებული.

ძალ-ღონეს არ იშურებენ კომბინატის მუშები, სპეციალისტები, ყველა თანამშრომელი, ასევე პროდუქციის ხარისხის განმსაზღვრელი რესპუბლიკური კომისიის წევრები.

თუ ორიოდე წლის წინათ კომბინატი ზარალიანი იყო და სახელმწიფოსადმი დავალიანებებიც საკმაოდ სოლიდური ჰქონდა, ამ მოკლე დროში მიღწეულია მნიშვნელოვანი წარმატებები, ეს ხარისხის გაუმჯობესებითა და სიახლეების, კერძოდ, უნარჩენო მუშაობით არის მიღწეული, რომელსაც ხელმძღვანელობენ ახლახან კომბინატის დირექტორის მოადგილედ დაწინაურებული გურამ გეწაძე და კომბინატის მთავარი ინჟინერ-მექანიზატორი ოთარ მაისურაძე.

— წლეულს კომბინატის ხელმძღვანელობამ, მისმა სპეციალისტებმა, მუშებმა მთლიანად აღკვეთეს ვაგონების მოცდენა, საგრძნობლად დაჩქარდა ავტომანქანების დაცლა, — თქვა კომბინატის დირექტორმა რამაზ აბაშიძემ. უკანასკნელი ორი წლის მანძილზე საგრძნობლად შემცირდა ნორმის ზევით პროდუქტების გაფუჭება. წლეულს კი იმისათვის ვიბრძვით, რომ არც ერთი კილოგრამი ხილბოსტნეული არ გაგვიფუჭდეს.

გ. ნოდია,
„კომუნისტის" სპეც. კორ.

„ბახმარო" ნუნუას წინააღმდეგ

სიფხიზლე ცხოვრების ნორმაა

თბილისის ცენტრში მდებარე ძველი შენობა მშენებლების, არქიტექტორებისა და მხატვრების გარჯის მეოხებით დღეს სულ მთლად გაახლებულია. იშვიათია ახლა ვინმემ აუაროს გვერდი „ლაღიძის წყლების" სახლს. აქ თქვენ შეგიძლიათ იგემოთ სახელგანთქმული ქართული ხილის წყლები და წვენები.

შენობის შესასვლელთან თქვენ ნახავთ წარწერას, რომელიც გაუწყებთ, რომ მიტროფანე ლაღიძემ — XX საუკუნის დამდეგს საქართველოში ხილის წყლების სამრეწველო წარმოების ფუძემდებელმა — შექმნა ეროვნული უალკოჰოლო სასმელები „პიტნა", „ტარხუნა", „კახური" და სხვები. მის ორიგინალურ საფირმო ავშარაჯებს „ნაღებს" და „შოკოლადს" მხოლოდ თბილისში აწარმოებენ.

თვით ლაღიძეს კი — უფრო სწორად მის ბრინჯაოს მეგლს რესპუბლიკის კვების მრეწველობის უძველესი საწარმოს —თბილისის უალკოჰოლო სასმელების ქარხანაში ნახავთ. აქ მუშაობდა იგი თავისი საწყაულებრივი წყლების კომპოზიციაზე, გულმოდგინედ არჩევდა ხილს, საკუთარი ტექნოლოგიითა და რეცეპტებით ამზადებდა ავშარაჯებს. მისი სასმელები არაერთხელ აღუნიშნავთ მედლებითა და სიგელებით პეტერბურგის, მოსკოვისა და მსოფლიოს მრავალი ქალაქის გამოფენებზე.

მანდარინის, ფორთოხლისა და ლიმონის მოსავლიანობის მკვეთრ გაზრდასთან დაკავშირებით აქ ციტრუსის სასმელებისა და წვენების წარმოება პრაქტიკულად ახალი დარგი იშვა. საქმის კარგი ორგანიზაციის, მძლავრი სანედლეულო ბაზის, ჩინებული სპეციალისტებისა და მეცნიერ-ტექნოლოგების და, ბოლოს, დიდი ტრადიციების ნიადაგზე საქართველოს შეუძლია ხილის წყლებისა და წვენების, განსაკუთრებით ყურძნის, ციტრუსის, დაფნისა და სხვა აქაური მცენარეების პროდუქციის ძირითადი მომწოდებელი გახდეს ჩვენს ქვეყანაში.

მაგრამ ამ დარგის განვითარების გზაზე გვარიანი დაბრკოლებებიც არის. ძირითადია მზა პროდუქციის გასაღება. ხომ ვუშვებდით, მაგალითად, მანდარინის წვენს, რომელიც ცუდად გაფორმებულ, ძირითადად სამლიტრიან ბოთლებში იყო ჩასხმული და ძვირიც ღირდა.

აი საბუთი, რომელსაც ხელს აწერს რესპუბლიკის ხილბოსტნეულის მეურნეობის მინისტრი თ. ჯაბადარი: მიმდინარე წლის 1 ივნისის მდგომარეობით ნაშთებში ირიცხებოდა 50 მილიონი პირობითი ქილა მანდარინის წვენი. 60 მილიონი ქილა მისი კონცენტრატი, 20 მილიონი პირობითი ქილა ნატურალური ვაშლის წვენი. საწყობები და საწარმოო ფართობები გაჭედილი იყო მზა პროდუქციით.

— თუ გავითვალისწინებთ, რომ წელს კიდევ ას მილიონ პირობით ქილა მანდარინისა და ვაშლის წვენს დავამზადებთ, — წერდა იგი, — ადვილი წარმოსადგენია, რა სიძნელეები მოგველის.

სამაგიეროდ, საწუხარი არაფერი ჰქონდათ საქართველოს ღვინის მრეწველობის სახელმწიფო კომიტეტის ხელმძღვანელებს. მის პროდუქციას — ღვინო-არაყს — როგორც იტყვიან, იტაცებდნენ.

ლოთობისა და ალკოჰოლიზმის დაძლევის შესახებ ცნობილი დადგენილების გამოსვლის შემდეგ სურათი მკვეთრად შეიცვალა. კვების მრეწველობისა და ხილბოსტნეულის მეურნეობის საკავშირო სამინისტროების ინტერესი რესპუბლიკის საკონსერვო მრეწველობის მდგომარეობის ძირეული გაუმჯობესების საკითხებისადმი, უალკოჰოლო სასმელებისა და წვენების წარმოებისადმი მნიშვნელოვნად გაიზარდა.

წარმატებებით წყდება პატარა, მომხმარებლისათვის მოსახერხებელ ბოთლებში მისი ჩამოსხმის, აგრეთვე მხატვრული გაფორმების საკითხიც. რა თქმა უნდა, არცთუ უმნიშვნელო ფაქტორია ისიც, რომ ამ ბოლო ხანს სასმელები მნიშვნელოვნად გაიაფდა.

ამ ცოტა ხნის წინათ ხელვაჩაურის საკონსერვო წარმოებაში, რომელიც თანამედროვე მოწყობილობით არის აღჭურვილი, ამუშავდა ახალი ხაზი, რომელიც 3,5 მილიონ პირობით ქილა მანდარინის, ფორთოხლისა და ლიმონის წვენებს გამოუშვებს. მათ ლამაზად გაფორმებულ ნახევარლიტრიან ბოთლებში ჩამოასხამენ.

ქართველი სპეციალისტები გეგმაზომიერად ეძიებენ ადგილობრივ ხილკენკროვან და მცენარეულ ნედლეულს. ამის შედეგად მნიშვნელოვნად მატულობს სასმელების „ტარხუნის", „ფეიჰოის", „ტყემლის", „პიტნის", „მჟაურისა" და სხვათა გამოშვება, რომლებზეც დიდი მოთხოვნაა. მალაზიის დახლზე გაჩნდა ახალი სასმელები — „ფაზისი", „ეგრისი", „დარიალი", „გრეიფრუტი" და „ლებარდე".

„თბილისხილწყლების" გაერთიანების საწარმოებმა ლაღიძის რეცეპტების მიხედვით აღადგინეს ცხელი სასმელები — „გლინტვეინის", „ალუბლის გროგის", „კომშის", „ყავის" წარმოება. ამ ზამთარს, როცა აცივდება, აღნიშნულ პროდუქციას თერმოსებით მიიტანენ თბილისის მაღაზიებში.

სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის ა. ნ. ბახის სახელობის ბიოქიმიის ინსტიტუტის, სსრ კავშირის კვების მრეწველობის სამინისტროს, ჩაის მრეწველობის საკავშირო სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტისა და რესპუბლიკის მეცნიერებათა აკადემიის მცენარეთა ბიოქიმიის ინსტიტუტის მუშაკებთან შემოქმედებითი თანამეგობრობით რესპუბლიკის სპეციალისტებმა დაამტკიცეს, რომ მიზანშეწონილია შედარებით მდარე ხარისხის ჩაის პროდუქციისაგან მიიღონ კონცენტრატები „ბახმაროს", „სენაკისა" და სხვა მატონიზებელი უალკოჰოლო სასმელების დასამზადებლად, რომლებმაც ფართო აღიარება მოიპოვეს.

შავი და მწვანე ჩაის კონცენტრატისა და იმ სამკურნალო მცენარეების გამოყენების საფუძველზე, რომელთა სანედლეულო ბაზა რესპუბლიკაში ძალზე მდიდარია, შემუშავებულია ახალი მატონიზებელი სასმელების „კოლხურის", „კახურას" „არაგვის" და „თბილისობას" რეცეპტურა.

— დადგენილია, — გვეუბნება მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი ს. კობალაძე, — რომ ჩაისგან დამზადებული სასმელები კარგ გავლენას ახდენენ ადამიანის ჯანმრთელობაზე, შრომის უნარს მატებენ მას.

მაგრამ საქმეს აბრკოლებს სანედლეულო ბაზებისა და საწარმოთა სიმძლავრეების შეუსაბამობა. აქ თავისთავად დგება კითხვა, რატომ არის, რომ კვების მრეწველობის რესპუბლიკურმა და საკავშირო სამინისტროებმა უარი თქვეს აეშენებინათ ბაბუშერას უალკოჰოლო სასმელების ქარხნის ტერიტორიაზე უკვე დაგეგმილი და დაპროექტებული ახალი საწარმო, რომელიც უნარჩენოდ გადაამუშავებდა 10 ათას ტონა ციტრუსის ნაყოფს კონცენტრატების საწარმოებლად? მისი სიმძლავრეები საქართველოს სსრ ხილბოსტნეულის მეურნეობის სამინისტროს „გადაულოცეს". ხოლო ეს სამინისტრო და სსრ კავშირის ხილბოსტნეულის მეურნეობის სამინისტრო აყოვნებენ წვენების საწარმოთა რეკონსტრუქციას და ტექნიკურ განახლებას. სუსტად ვითარდება სათირმო სავაჭრო ქსელი, აგრეთვე ხილის წყლების ჩამოსხმა პატარა ზომის — 0,33-ლიტრიან ბოთლებში. აქ ფართოვდება ნაყენებისა და კომპოზიციების წარმოება რესპუბლიკის ფარგლებს გარეთ მისაწოდებლად.

ვინ არ იცის, რომ ახალ პრობლემებში საქართველოს მევენახეობას — რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის ერთ-ერთ წამყვან დარგს — მნიშვნელოვანი ზარალი და დანაკარგები აქვს მიყენებული ამისა პროდუქციის წარმოების თითქმის 50 პროცენტით შემცირებას ისინი მომზადებულნი შეხვდნენ. ქართველმა სპეციალისტებმა ჯერ კიდევ შვიდი წლის წინათ დაიწყეს უალკოჰოლო ღვინის შექმნის ექსპერიმენტები, და აი, ამ ცოტა ხნის წინათ მაღაზიაში გამოჩნდა უალკოჰოლო ღვინოები „ღვინისა" და „არმაზი".

— ეს სასმელი ძრიად სასარგებლო დიეტური პროდუქტია, — გვეუბნება მისი ერთ-ერთი შემქმნელი, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი ვ. ალადაშვილი. — სასმელი ძალზე გემრიელია, გამამხნევებელი ეფექტი აქვს და დიდად სასარგებლო გავლენას ახდენს საჭმლის მონელებაზე.

— მერე, გამოშვების საქმე როგორ არის? — ვკითხე საქღვინმრეწვკომის თავმჯდომარეს გ. ლოლაძეს.

— მცხეთის ღვინის ქარხნის საექსპერიმენტო უბანზე, — ამბობს იგი, — მცირე რაოდენობით უკვე ვუშვებთ სასმელებს. აქვე დაიწყო მშენებლობა და მალე პირველ პროდუქციას გამოუშვებს უალკოჰოლო ღვინოების ქარხანა. ჩვენი საწარმოების გადასვლა ამგვარი პროდუქციის, სუსტალკოჰოლური ნატურალური ღვინოებისა და შუშხუნა (შამპანურის ტიპის) ღვინოების, აგრეთვე ყურძნის წვენისაგან ქართული ეროვნული ტკბილეულის (ჩურჩხელა, თათარა და სხვა) გამოშვებაზე ახალ, უფრო რთულ ტექნოლოგიას და შესაბამის მოწყობილობას მოითხოვს.

აქ, ჩვენი აზრით, თავისი სიტყვა უნდა თქვან სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტმა და სსრ კავშირის კვების მრეწველობის სამინისტრომ, რათა რაც შეიძლება ოპერატიულად დააკმაყოფილონ საქღვინმრეწვკომის მოთხოვნილება ახალ მოწყობილობაზე, კერძოდ, უზრუნველყონ იგი უალკოჰოლო სასმელების ჩამოსასხმელი ხაზებით, ცხელი ჩამოსხმის ხაზებით, გამფრქვევი საშრობებით და ბევრი სხვა რამით.

თქმა არ უნდა, საქართველოს კვებისა და გადამამუშავებელი ინდუსტრიის მუშაკებს დღეს ბევრი საზრუნავი აქვთ. მთავარია თავიდან ავიცილოთ ყურძნისა და ციტრუსის დანაკარგები. მოწეული მოსავალი ხომ მშრომელთა სუფრაზე უნდა მივიდეს ან ნატურალური სახით, ან წვენებად და სასმელებად გადამუშავებული.

გ. ლებანიძე,
(„პრავდის" კორ.).
ქ. თბილისი.
„პრავდა" 1985 წ. 22 X.

პოეზიის ზეიმი ბათუმში

ბათუმს ესტუმრა ესენინის პირველი სრულიად საკავშირო დღესასწაული. აქ მოსკოვიდან, ლენინგრადიდან, რიაზანიდან, თბილისიდან, ქუთაისიდან ჩამოვიდნენ პოეტები და მწერლები. მათ დაათვალიერეს ღირსშესანიშნავი ადგილები, რომლებიც დაკავშირებულია აჭარაში სერგეი ესენინის ყოფნასთან. ენგელსის ქუჩაზე № 11 სახლთან, სადაც ს. ესენინი ცხოვრობდა, გაიმართა მიტინგი, რომელზეც გამოვიდნენ მწერლები ი. პროკუშევი, ვ. სენინი, საქართველოს მწერალთა კავშირის აჭარის განყოფილების პასუხისმგებელი მდივანი, შოთა რუსთაველის სახელობის პრემიის ლაურეატი პოეტი ფ. ხალვაში.

სახლის ფასადზე გაიხსნა მემორიალური დაფა, რომელზეც აღბეჭდილია სერგეი ესენინის ბარელიეფი.

№ 1 საშუალო სკოლის მოსწავლეები შეხვდნენ დღესასწაულის მონაწილე მწერლებს.

ბათუმის ოფიცერთა სახლში გაიმართა ს. ესენინის დაბადების 90 წლისთავისადმი მიძღვნილი საიუბილეო საღამო.

პოეზიის დღესასწაული გრძელდება.

სურათზე: სერგეი ესენინის ხსოვნისადმი მიძღვნილი მიტინგი.
ნ. ანასტასიევის ფოტო.
(საქინფორმის ფოტოქრონიკა).

შოთა ნიშნიანიძე

სსრ კავშირის სახელმწიფო და შოთა რუსთაველის პრემიების ლაურეატი

სერგეი ესენინი

ვინ მოგვასმენინა იმ ძუკნას ტირილი,
შვიდივე ლეკვი რომ რუში ჩაუყარეს?
ვინ, ვინ შეგვაყვარა მტირალა ტირიფი,
ძველი რუსეთივით ჩუმი და მწუხარე?

ვინა თქვა ტკივილზე სიმღერა უბრალო,
სიმღერა ცახცახა, ვით ვერხვის ფურცელი,
რათა ყოფილიყო კაციც და უფალიც
უფრო ლმობიერი და უფრო სულგრძელი.

ველური კვიცივით ყელი მოიღერა
და სტეპში ჭიხვინით გავარდა გიტარა,
ზედ კი ესენინის ლამაზი სიმღერა
ზის ამორძალივით ღვთაებრივ გრიგალად.

დაფეთდნენ სოფლები... დაფეთდნენ სტეპები...
სივრცეებს გადასწვდა ბედი მაძახური
და აისედორა დუნკანის ფეფებით
წარსულში გაიქცა ბევრი გაზაფხული.

იტირე, გიტარავ, სანამ სინანულით
არ გადაფატრულან პოეტის ძარღვები,
იტირე, გეთაყვა, სიყრმეც, სიყვარულიც
და კაცთა სიავეც — ჩვენი დამმარხველი.

დაე შინდის წვენი ლექსებში გავიყოთ
და ცისკენ წავიდეს ლოცვა შესმენილი...
ის ცისფერყანწელთა ლამაზი ძმა იყო,
ყელგადატეხილი რუსეთის ბულბული:
სერგეი ესენინი...

რევოლუციური მემკვიდრეობის ძალა

21 ოქტომბერს თბილისში გაიმართა საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტთან არსებული პარტიის ისტორიის ინსტიტუტის — სკკპ ცენტრალურ კომიტეტთან არსებული მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტის ფილიალის საიუბილეო სესია, რომელიც მიეძღვნა კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს თვალსაჩინო მოღვაწის გიორგი თევდორეს ძე სტურუას დაბადების 100 წლისთავს.

პრეზიდიუმში არიან ამხანაგები ო. ე. ჩერქეზია, ნ. ა. ჩითანავა, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის მოადგილე ვ. მ. სირაძე, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის განყოფილებათა გამგეები ნ. შ. ენდელაძე, ა. პ. საყვარელიძე, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი, აკადემიკოსი ე. კ. ხარაძე, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ვ. ლაშქარაშვილი, საქართველოს პროფსაბჭოს მდივანი ზ. ა. კვაჭაძე, საქართველოს კომპარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტის მეორე მდივანი ნ. ვ. გურგენიძე, პარტიის ვეტერანები, მეცნიერები.

— დამკვიდრდა კარგი ტრადიცია ღირსეულად ვაფასებდეთ პარტიის თვალსაჩინო მოღვაწეთა დამსახურებას, რომლებიც მამაცურად იბრძოდნენ მშრომელი ხალხის თავისუფლებისა და ბედნიერებისათვის, — თქვა სესიის გახსნისას საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანმა ნ. ა. ჩითანავამ. ბევრი მათგანის სახელი ოქროს ასოებით ჩაიწერა დიდი ლენინის მიერ შექმნილი და გამოწრთობილი ჩვენი პარტიის ისტორიაში. გმირ მებრძოლთა ნათელი ხსოვნა არასოდეს წაიშლება. ის, რაც მათ გააკეთეს, იცოცხლებს და არასოდეს მიეცემა დავიწყებას. ჩვენ ყოველ ღონეს ვხმარობთ, რათა რევოლუციური მემკვიდრეობა, რომლის შესახებაც ლაპარაკი მ. ს. გორბაჩოვმა სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1985 წლის ოქტომბრის პლენუმზე გაკეთებულ მოხსენებაში, აისახოს დღევანდელი ამოცანების გადაწყვეტით. ლენინური გვარდიის მებრძოლებისაგან ვსწავლობდით და ვსწავლობთ მაღალ პრინციპულობას, ნაკლოვანებებისადმი შეუწყნარებლობას, მუშაობაში ნოვატორობას.

გიორგი სტურუა ბოლშევიკთა ლენინური გვარდიის, მამაცი პროფესიონალი რევოლუციონერების და იატაკქვეშელების პირველი თაობის ერთ-ერთი შესანიშნავი წარმომადგენელი, სამოქალაქო ომისა და სოციალისტური რევოლუციის გმირი, საბჭოთა საქართველოს აქტიური მშენებელი, კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს თვალსაჩინო მოღვაწე იყო. მისი დაბადების 100 წლისთავს აღვნიშნავთ იმ დღეებში, როცა საქართველოს კომუნისტები, რესპუბლიკის მშრომელები მთელ საბჭოთა ხალხთან ერთად დიდი პოლიტიკური და შრომითი აღმავლობის ვითარებაში ემზადებიან სკკპ XXVII ყრილობისათვის, რომელიც უთუოდ გახდება დიდმნიშვნელოვანი ნიშანსვეტი კომუნიზმისაკენ მიმავალ გზაზე.

მოხსენება „თვალსაჩინო რევოლუციონერი და სახელმწიფო მოღვაწე“ წაიკითხა ისტორიის მეცნიერებათა დოქტორმა, პროფესორმა ვ. ნ. მერკვილაძემ.

შემდეგ გამოვიდნენ სამტრედიის რაიაღმასკომის თავმჯდომარე თ. კ. მიქაძე, ვ. ი. ლენინის ცენტრალური მუზეუმის თბილისის ფილიალის დირექტორი ფ. მ. მახარაძე, იუბილარის ვაჟი, საერთაშორისო მიმომხილველი მ. გ. სტურუა, რომლებმაც ილაპარაკეს უდრეკი რევოლუციონერის შესანიშნავ თვისებებზე, მის შეუპოვარ ბრძოლაზე პარტიის გენერალური ხაზის განხორციელებისათვის, უდიდეს მუშაობაზე საქართველოსა და ამიერკავკასიაში საბჭოთა სოციალისტური სახელმწიფოს მშენებლობისათვის, სკკპ ლენინური ეროვნული პოლიტიკის განხორციელებისათვის, მშრომელებისადმი მის გულისხმიერებაზე, მარქსისტულ-ლენინური იდეების პროპაგანდაში მნიშვნელოვან წვლილზე.

(საქინფორმი).

წყალი-მკურნალი

ტყიბული. (საქ. კორ.). გოგირდოვანი წყალი, რომელიც სოფელ კურსების ცენტრში, მდინარე წყალწითელას მარცხენა სანაპიროზე ამოჩუხჩუხებს, ძველთაგანვე იპყრობდა ყურადღებას, ნახევარი საუკუნის წინათ კი აქ სამკურნალო აბანო აიგეს და აბაზანებიც მოეწყვეს. აქედან მოყოლებული იგი ფასდაუდებელ სამსახურს უწევს, როგორც კურსებელ, ისე მეზობელი რაიონებიდან ჩამოსულ რევმატიზმით დაავადებულთ.

შარშან ამ საკოლმეურნეო კურორტზე 4 ათასამდე კაცმა იმკურნალა და წელსაც ბლომადაა დამსვენებელი. სამკურნალო აბანო შეღავათიან ფასებში ურიგოდ ემსახურება სამამულო ომისა და შრომის ვეტერანებს. გოგირდოვანი წყლის აბაზანებით ბევრი ავადმყოფი განიკურნა.

წესი, რიგი და ჩვენ

სახალხო რაზმეულებთან კავშირით

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის 1985 წლის აპრილის პლენუმზე ამხანაგმა მ. გორბაჩოვმა საგანგებოდ აღნიშნა, რომ აუცილებელია სახელმწიფო დისციპლინისა და მართლწესრიგის განმტკიცება თითოეულ შრომით უჯრედში, თითოეულ ქალაქში და სოფელში. საბჭოთა ადამიანები დარწმუნებული უნდა იყვნენ, რომ მათს სიცოცხლეს, ჯანმრთელობას, პატიოსნებასა და ღირსებას ვერ შელახავენ ვერავითარი ხულიგნები, ქურდები და საზოგადოების სხვა ანტიპოდები, რომ მათს ქონებასა და კანონიერ უფლებას დაიცავენ სამართალდაცვის ორგანოები.

გვაქვს თუ არა პარტიისა და ხალხის ამ მოთხოვნების შესრულების რეალური შესაძლებლობანი? დიახ, გვაქვს. ეს ძალუძთ მილიციის ორგანოებს მშრომელთა ფართო ფენებთან და, უწინარეს ყოვლისა, ნებაყოფლობით სახალხო რაზმეულებთან მჭიდრო კონტაქტით.

ამას წინათ ნებაყოფლობითი სახალხო რაზმეულების ხელმძღვანელობის რესპუბლიკურმა შტაბმა შეაჯამა რაზმეულების 1985 წლის პირველი ნახევრის საქმიანობის შედეგები. ამასთან დაკავშირებით მინდა მკითხველს ვესაუბრო იმის თაობაზე, თუ რას მივაღწიეთ და რა გადაუჭრელი პრობლემები დგას ჩვენს წინაშე.

საზოგადოებრივი წესრიგის განმტკიცებაში მნიშვნელოვანი როლი შეასრულა არა მარტო შინაგან საქმეთა ძალებისა და ქვეგანაყოფების, არამედ აგრეთვე საზოგადოებრივი ფორმირებების გააქტიურებამ. დღეს ძნელი წარმოსადგენია ისეთი ქალაქი, რაიონი თუ სოფელი, სადაც საღამოობით ქუჩებში არ დადიოდნენ წითელსამკლავურიანი რაზმელები, რომლებიც ფხიზლად იცავენ დანაშაულებრივი ხელყოფისაგან საბჭოთა მოქალაქეების უფლებებსა და კანონიერ ინტერესებს.

ისინი მილიციასთან მხარდამხარ მუშაობენ და გვეხმარებიან თავიდან ავიცილოთ ადამიანთა შორის კონფლიქტური სიტუაციები, მონაწილეობენ დამნაშავეთა დაკავებაში, ნეგატიური მოვლენების აღმოფხვრაში.

საზოგადოებრივი წესრიგის და მართლწესრიგის დაცვაში მილიციის ორგანოებისა და საზოგადოებრივ ფორმირებათა ურთიერთმოქმედების შემდგომი გაუმჯობესების საკითხები საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და რესპუბლიკის მთავრობის დაუცხრომელი ზრუნვის საგანია. ამას ადასტურებს სახალხო რაზმეულების სწავლების გაუმჯობესების, მილიციის ორგანოებთან მათი ურთიერთმოქმედების დახვეწისა და მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის ღონისძიებანი.

ნებაყოფლობითი სახალხო რაზმეულების მრავალი წლის პატრიოტულმა საქმიანობამ არა მარტო ის დაამტკიცა, რომ იგი ცხოველუნარიანი და ეფექტიანი საშუალებაა სისხლის სამართლის დანაშაულობათა წინააღმდეგ და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვისათვის ბრძოლის მრავალფეროვანი ამოცანების გადაწყვეტაში, არამედ, რაც მთავარია, დაადასტურა, რომ საბჭოთა ადამიანს უნარი შესწევს დაამკვიდროს განვითარებული სოციალიზმის საზოგადოებრივი ურთიერთობანი.

ხომ იყო დრო, როცა სისხლის სამართლის დანაშაულის — ამ ღრმად სოციალური პრობლემის — გამოვლინებათა წინააღმდეგ ბრძოლის საკითხები ძირითადად ადმინისტრაციული ორგანოების ფარგლებში წყდებოდა. ახლა უბრალოდ წარმოუდგენელია, რომ იგი არაკომპლექსურად, მრავალი საზოგადოებრივი ფორმირების, სამეცნიერო და შემოქმედებითი ორგანიზაციების, მასობრივი აგიტაციისა და პროპაგანდის საშუალებების აქტიური მონაწილეობის გარეშე გადაიჭრას. ჩვენ წარმოუდგენლად მიგვაჩნია ჩვენი ნორმალური მუშაობა პარტიული ხელმძღვანელობის იმ მწყობრი სისტემის გარეშე, რომელსაც წარმატებით ახორციელებენ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი და რესპუბლიკის მთავრობა. მაგალითად, სახალხო რაზმეულების ამოცანები მიმდინარე წლისათვის ჩვენ განვსაზღვრეთ არა მარტო დამნაშავეობის სტატისტიკით და დინამიკით დადასტურებული ოპერატიული ვითარების გათვალისწინებით, არამედ იმ ინფორმაციის საფუძველზეც, რომელსაც საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტთან და საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სამინისტროსთან არსებული საზოგადოებრივი აზრის ინსტიტუტი იღებს.

ჩვენ იმას ვესწრაფვით, რომ გამოვრიცხოთ სახალხო რაზმეულების საქმიანობაში ფორმალიზმი და მოჩვენებითობა, მივაღწიოთ ხარისხისა და საბოლოო შედეგების გაუმჯობესებას. ჩვენი აზრით, რაზმელების მუშაობის შეფასების კრიტერიუმები უნდა განისაზღვროს არა სტატისტიკური ცნობებით გამოვლენილი და დაკავებული ხულიგნების, მუქთახორებისა და სხვა ამგვარი პირების რაოდენობის მიხედვით, არამედ რაზმეულებისა და საზოგადოებრივი აზრის — თვით მოსახლეობის ამ ფასდაუდებელი ბარომეტრის — პროფილაქტიკური ზემოქმედების შედეგად ჩვენს სოფლებში და ქალაქებში რეალური ვითარების მიხედვით.

დღეს რესპუბლიკაში 6800 ნებაყოფლობითი სახალხო რაზმეულია, რომლებშიც გაერთიანებულია ათობით ათასი რაზმელი. ეს მთელი არმიაა, რომელსაც სერიოზული ამოცანების გადაწყვეტა ძალუძს. უმეტესად რაზმელები იდეურად გამოწრთობილი ადამიანები არიან, რომლებსაც დიდი ცხოვრებისეული სკოლა აქვთ გამოვლილი. მათ შორის ნახავთ შრომის გმირებს, დეპუტატებს, პარტიისა და შრომის ვეტერანებს, მეცნიერებისა და ლიტერატურის მოღვაწეებს, ახალგაზრდებს, სხვადასხვა ეროვნების ადამიანებს, რომლებსაც სრულიად უანგაროდ მნიშვნელოვანი წვლილი შეაქვთ საზოგადოებრივი წესრიგის დაცვაში და დამნაშავეობის წინააღმდეგ ბრძოლაში.

რაზმელებს, რომლებმაც განსაკუთრებით გამოიჩინეს თავი, მთავრობის ჯილდოები მიენიჭათ, ხოლო დაახლოებით 50 ათასი — საწარმოთა და ორგანიზაციათა ხელმძღვანელებმა წაახალისეს.

მიმდინარე წელს რესპუბლიკის რაზმელთა ძალებით დაკავებული და შინაგან საქმეთა ორგანოებში მიყვანილია ასობით ხულიგანი, მეწვრილმანე სპეკულანტი, მუქთახორა და ჩვენი საზოგადოების სხვა ანტიპოდები, რომლებიც პარაზიტულ ცხოვრებას ეწევიან.

კარგად და შედეგიანად იმუშავეს, ამასთან გამბედაობა და ოპერატიულობა გამოიჩინეს ქალაქების თბილისის, ბათუმის, ქუთაისისა და ფოთის, მცხეთის, ხელვაჩაურის, ახალციხისა და რესპუბლიკის სხვა რაიონების სახალხო რაზმეულებმა.

მაგალითად, თბილისის საავიაციო ქარხანაში, სადაც ნებაყოფლობითი სახალხო რაზმეულის 31 ჯგუფი და ათასობით რაზმელია, გრაფიკის შესაბამისად, ყოველდღიურად 30-30 კაცი მორიგეობს ქარხნის გარშემო უბნებში. გარდა ამისა, მილიციის მუშაკებიც პატრულობენ მათთვის გამოყოფილი მარშრუტებით.

ქარხნის რაზმელები საზოგადოებრივ წესრიგს იცავენ არა მარტო თავიანთი საწარმოს ტერიტორიაზე, არამედ ქარხნის მახლობლად უბანში, სადაც მრავალი მოქალაქე ცხოვრობს. ნებაყოფლობითი სახალხო რაზმელების შტაბი დიდ ყურადღებას უთმობს სახალხო რაზმეულების საქმიანობას და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვაში მათი როლის გაზრდას. ამიტომ სახალხო რაზმეულებმა დიდი ავტორიტეტი მოიპოვეს ქარხნის მუშებსა და ინჟინერ-ტექნიკურ პერსონალს შორის თავიანთი აქტიურობით და ყოველდღიური კეთილსინდისიერი გარჯით.

ნებაყოფლობით სახალხო რაზმეულებში აქტიური მონაწილეობისათვის 1985 წელს ქარხნის დირექტორის ბრძანებით 11 კაცი დაჯილდოვდა ფულადი პრემიით და 41 — დამატებითი ხელფასიანი შვებულებით.

ნებაყოფლობითი სახალხო რაზმეულების შტაბის უფროსია პარტკომის მდივნის მოადგილე ზ. ზურაბიშვილი, რომელიც პატიოსნად და კეთილსინდისიერად ასრულებს თავის მოვალეობას.

სახალხო რაზმეულების მუშაობის ორგანიზაციის საკითხებისადმი საქმიანი მიდგომის ნიმუშად გამოგვადგება აგრეთვე საწარმოო გაერთიანება „ელექტროაპარატის“ საქმიანობა, სადაც ნებაყოფლობითი სახალხო რაზმეულების შემადგენლობაში 260-ზე მეტი კაცია; მათ ხელმძღვანელობს გაერთიანების გენერალური დირექტორის მოადგილე მანჯგალაძე.

ამ საწარმოს სახალხო რაზმელები, დამოუკიდებელი მორიგეობის გარდა, მილიციის საპატრულო-საგუშაგო განწესებსაც ეხმარებიან და თბილისის სამედიცინო გამოსაფხიზლებელშიც მორიგეობენ. აქ საუკეთესო რაზმელთა შორის შეგვიძლია დავასახელოთ ამხანაგები კრასინი, გოგოლაძე, ტოტოჩავა და სხვები.

მუშაობაში ორგანიზებულობასა და აქტიურობას იჩენენ სხვა რაზმელებიც, მაგალითად, ნებაყოფლობითი სახალხო რაზმეულების ბიჭვინთის შტაბი. ამას წინათ ბიჭვინთაში საკურორტო სამმართველოს რაზმელებმა დიდი გამბედაობა და ოპერატიულობა გამოიჩინეს და დააკავეს დამნაშავეები, რომლებმაც დამსვენებელი გაძარცვეს. გამოჩენილი გამბედაობის მაგალითად გამოგვადგება ის ფაქტი, რომ ქუთაისის საავეჯო კომბინატის ნებაყოფლობითი სახალხო რაზმეულის წევრებმა, რაზმელებმა კლდიაშვილმა და ბარაბაძემ დანაშაულის ადგილზე დააკავეს მოქალაქე კ., რომელმაც ქურდობა ჩაიდინა.

რესპუბლიკის სასაზღვრო რაიონებში რაზმეულები დიდ დახმარებას გვიწევენ საპასპორტო რეჟიმის დაცვაში.

კიდევ უფრო განვითარდა სახელმწიფო და საზოგადოებრივი ქონების დატაცებისა და სპეკულაციის წინააღმდეგ მებრძოლი სპეციალიზებული რაზმეულების საქმიანობა.

სახელმწიფო ავტოინსპექციის ორგანოებს დიდად ეხმარებიან სპეციალიზებული რაზმეულები, რომლებშიც შედიან მძღოლები. ისინი კონტროლს უწევენ არა მარტო საგზაო მოძრაობის წესების დაცვას, არამედ სატრანსპორტო საშუალებათა ტექნიკურ მდგომარეობასაც. მაგალითად, 1985 წლის დამდეგიდან ასეთი რაზმეულების მონაწილეობით საგზაო მოძრაობის წესების 12 ათასი დამრღვევი და ასობით ისეთი მძღოლი გამოვლინდა, რომლებიც მთვრალები მართავდნენ ავტოტრანსპორტს.

განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს ბავშვთა საგზაო ტრავმატიზმის პროფილაქტიკა. მისი ამოცანა მარტო ის კი არ არის, რომ ვიხსნათ ჩვენი ბავშვები უბედური შემთხვევისაგან, არამედ ისიც, რომ ნორჩ მოქალაქეებს ბავშვობიდანვე ვასწავლოთ საგზაო მოძრაობის უსაფრთხოების წესების დაცვა.

რაზმეულების პროფილაქტიკური მუშაობის დიდმნიშვნელოვანი ფორმაა ლოთობისა და ალკოჰოლიზმის წინააღმდეგ ბრძოლა. ვინ არ იცის, რა დიდი ზიანი მოაქვს მას ადამიანისა და საზოგადოებისათვის. ავტოსაგზაო შემთხვევების თითქმის მესამედი ნასვამი მძღოლებისა და ქვეითების ბრალია. ამჟამად რესპუბლიკაში ლოთობის წინააღმდეგ ბრძოლის 180 სპეციალიზებული ნებაყოფლობითი სახალხო რაზმეული მოქმედებს, რომლებშიც გაერთიანებულია 2500-ზე მეტი რაზმელი, მათ შორის დაახლოებით 700 ექიმი და 500-ზე მეტი მედიცინის მუშაკი.

სპეციალური რაზმეულები ქუჩებში და სხვა საზოგადოებრივ ადგილებში მთვრალი ხალხის შემგროვებელი ეკიპაჟების შემადგენლობაში პატრულობენ, სამედიცინო გამოსაფხიზლებლებს ეხმარებიან მოყვანილ პირებთან მუშაობაში, კონტროლს უწევენ სავაჭრო ქსელში და საზოგადოებრივი კვების ობიექტებში ალკოჰოლიანი სასმელების რეალიზაციის წესების დაცვას.

განსაკუთრებით მატულობს რაზმეულების ამ საქმიანობის მნიშვნელობა მას შემდეგ, რაც გამოქვეყნდა სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილება „ლოთობისა და ალკოჰოლიზმის დაძლევის ღონისძიებათა შესახებ“. ამასთან დაკავშირებით ნებაყოფლობითი სახალხო რაზმეულების საქალაქო და რაიონულმა შტაბებმა შინაგან საქმეთა საქალაქო და რაიონულ ორგანოებთან ერთად სპეციალური რაზმეულების მუშაობა ისე უნდა გარდაქმნან, რომ საზოგადოებრივ ადგილებში მთვრალების გამოვლინებასთან ერთად წარმატებულად მუშაობდნენ მოსახლეობაში იმის განმარტებაზეც, თუ რა მძიმე შედეგები მოსდევს არყის შინ გამოხდას და ალკოჰოლიზმს.

რაზმელებმა განსაკუთრებული ყურადღება უნდა დაუთმონ საზოგადოებრივ ადგილებში მთვრალების მიერ ხულიგნურ გამოვლინებათა აღკვეთას. ანალიზი ადასტურებს, რომ ბოროტი ხულიგნობის 40-45 პროცენტს მთვრალები სჩადიან. ასეთი ხულიგნობა მით უფრო საშიშია, რომ ხშირად იგი მასაზრდოებელი გარემო ხდება უფრო საშიში დანაშაულისათვის.

ხულიგნობის ნიადაგზე ხშირად ხდება განზრახ მკვლელობა, სხეულების დაზიანება, ცეცხლის წაკიდება, მოქალაქეთა პირადი ქონებისა და სახელმწიფო ქონების გაფუჭება-დაზიანება. ამიტომ ხულიგნებს კანონის მთელი სიმკაცრით უნდა მოვექცეთ. იმისათვის, რომ წარმატებით ვებრძოლოთ ხულიგნობას, ნებაყოფლობითი სახალხო რაზმეულები მილიციის თანამშრომლებთან ერთად უნდა პატრულობდნენ იქ, სადაც ხშირად იყრიან თავს სხვადასხვა ჯურის უსაქმურები და ხულიგნები.

ამ ბოლო ხანს მართლწესრიგის დაცვის სისტემაში ნებაყოფლობით სახალხო რაზმეულებთან მილიციის ურთიერთმოქმედების ახალი ფორმები დაინერგა. ქალაქებში, სადაც საპატრულო-საგუშაგო ქვეგანაყოფები ფუნქციონირებენ, სპეციალურ რაზმელებს იყენებენ საპატრულო-საგუშაგო სამსახურის თანამშრომლებთან შეწყვილებით. ამ გზით იზრდება განწესების რიცხვი და უმჯობესდება წესრიგის დაცვისათვის მუშაობის ხარისხი.

საქართველოს კომპარტიის თბილისის გლდანისა და საქარხნო რაიკომებმა მხარი დაუჭირეს ჩვენი სამინისტროს ინიციატივას, რომ მოეწყოს ექსპერიმენტი, რომლის დროსაც მართლწესრიგის დაცვაში გამოიყენებენ მილიციისა და საზოგადოებრივ ძალებს საპატრულო უბნების შექმნის გზით. რაზმელები წესრიგის დასაცავად საზოგადოებრივი პუნქტებიდან გამოვლენ საპატრულო უბნების ხელმძღვანელი მილიციის უფროსი უბნის ინსპექტორების მეთაურობით, მოაწყობენ რაზმეულებისა და საპატრულო განწესების ურთიერთმოქმედებას, დაეხმარებიან მათ და კონტროლს გაუწევენ სამსახურს.

საზოგადოებრიობასთან მუშაობის ახალმა სისტემამ თავისი ნაყოფი გამოიღო. ახლა აღნიშნულ რაიონებში მნიშვნელოვნად ნაკლები დანაშაულია აღრიცხული.

სოფლად შეიქმნა ნებაყოფლობითი სახალხო რაზმეულების სპეციალური ჯგუფები 5-8 კაცის შემადგენლობით; ესენი არიან სოფლის ყველაზე პატივცემული მცხოვრებნი, რომლებიც უბნის ინსპექტორებთან ერთად გამაფრთხილებელ პროფილაქტიკურ მუშაობას ეწევიან და მილიციის ორგანოებს ეხმარებიან. ასეთი პრაქტიკა დამკვიდრდა მცხეთის, ხელვაჩაურის, ახალციხის, სოხუმისა და ზოგიერთ სხვა რაიონში.

მაგრამ რაზმეულების საქმიანობაში პოზიტიური ძვრების მიუხედავად, რესპუბლიკის ბევრ რაიონში მას ჯერ კიდევ ფორმალური ხასიათი აქვს. ლაგოდეხის რაიონში რაზმელთა ასეთი ჯგუფები თითქმის ყველა სოფელშია შექმნილი, მაგრამ შედეგი არ ჩანს. ამიტომ, რა გასაკვირია, რომ 900-ზე მეტ რაზმელ არავითარი კონკრეტული მაჩვენებლები არა აქვთ. ასეთივე ვითარებაა სიღნაღის რაიონშიც.

ნებაყოფლობითი სახალხო რაზმეულების საქალაქო და რაიონულმა შტაბებმა და შინაგან საქმეთა ორგანოებმა იუსტიციის სამინისტროსთან ერთად სერიოზულად უნდა იზრუნონ რაზმელების სწავლების ორგანიზაციისათვის.

მარნეულის, გარდაბნის, სიღნაღის, გორისა და სხვა რაიონებში რეგულარულად არ ეწყობა ნებაყოფლობითი სახალხო რაზმეულების მეცადინეობანი და სწავლება, ნეგატიური მოვლენების წინააღმდეგ ბრძოლის მეთოდებში რაზმელების სუსტი მომზადების გამო კი მათ ეფექტიანად ვერ იყენებენ საზოგადოებრივი წესრიგის დაცვაში.

რაზმელების მრავალფეროვან და ძალზე საინტერესო საქმიანობას კამპანიურობის კი არა, მუდმივი ხასიათი უნდა ჰქონდეს და მაშინ ანტისაზოგადოებრივი მოვლენების წინააღმდეგ ბრძოლა კი არ დაცხრება, არამედ ღონივრად გაძლიერდება.

მხოლოდ ამ გზით მივაღწევთ მორალურ-ზნეობრივი კლიმატის საბოლოო გაუმჯობესებას და ამის საფუძველზე ჩვენს სოფლებში და ქალაქებში ანტისაზოგადოებრივ გამოვლინებათა შემცირებას.

ვ. შადური,
საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა მინისტრის პირველი მოადგილე.

კრიტიკული გამოსვლის შემდეგ

„კომუნისტს“ უპასუხებენ

საქართველოს კომპარტიის დუშეთისა და კასპის რაიკომები და საქართველოს სსრ მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების სამინისტროს „საქყოფრემტექნიკის“ თელავის ქარხანა

გაზეთ „კომუნისტში“ დაიბეჭდა სარეიდო წერილი „როცა ბახუსი დათარეშობს, გონება დათრგუნულია“, რომელშიც მხილებული იყვნენ ის მძღოლები, რომლებიც ავტომანქანებს მთვრალი მართავენ. ამის გამო რედაქციაში გამოგზავნილ პასუხებში გვწერენ:

ნ. ოდიშვილი — პარტიის დუშეთის რაიკომის პირველი მდივანი: გაზეთ „კომუნისტში“ გამოქვეყნებულ წერილში მხილებული იყო დუშეთის რაიონის სახელმწიფო დაზღვევის ინსპექციის უფროსის, სკკპ წევრის ვ. წიკლაურის საქციელი, რომელიც ძმის „ჟიგულს“ მთვრალი მართავდა და სახელმწიფო ავტოინსპექციის დუშეთის საგზაო საპატრულო საგუშაგოს თანამშრომლებს წინააღმდეგობა გაუწია. საქართველოს სსრ ფინანსთა სამინისტროს კოლეგიის გადაწყვეტილებით, აღნიშნული ფაქტისა და მუშაობაში დაშვებული ნაკლოვანებების გამო ვ. წიკლაური განთავისუფლებულია თანამდებობიდან, ხოლო დუშეთის რაიონის საფინანსო განყოფილების პირველადი პარტიული ორგანიზაციისა და პარტიის დუშეთის რაიკომის ბიუროს დადგენილებით იგი გაირიცხა სკკპ რიგებიდან.

თ. სადუნიშვილი—პარტიის კასპის რაიკომის მდივანი: საქართველოს კომპარტიის კასპის რაიკომის ბიურომ იმსჯელა მომხდარი ავტოავარიის შესახებ. რაიკომის ბიურომ ცნობად მიიღო, რომ კასპის რაიონის აგროსამრეწველო გაერთიანების გამგეობამ „საქსოფლქიმიის“ კასპის რაიონული გაერთიანების ინჟინერ-მექანიკოსი გ. შამანაური გაათავისუფლა თანამდებობიდან, თვითმცლელი ავტომანქანის მძღოლი გ. ჯაბანაშვილი მიცემულია სამართალში.

რაიკომის ბიურომ არადამაკმაყოფილებლად ჩათვალა ამ ორგანიზაციის დირექციის, პარტიული, პროფკავშირული და კომკავშირული ორგანიზაციების მუშაობა დისციპლინისა და ალკოჰოლიზმის წინააღმდეგ ბრძოლის საქმეში. ბიურომ „საქსოფლქიმიის“ კასპის რაიონული გაერთიანების დირექტორს, სკკპ წევრს ო. ტატუნაშვილს და დირექტორის მოადგილეს, სკკპ წევრს ა. მორჩილაძეს გამოუცხადა სასტიკი საყვედური, ხოლო პარტიული ორგანიზაციის მდივანს შ. ზაპუაშვილს და სახელმწიფო ავტოინსპექციის კასპის ქვეგანყოფილების უფროსს გ. ზაალიშვილს — საყვედური.

რ. კობიაშვილი — „საქყოფრემტექნიკის“ თელავის ქარხნის დირექტორი: რეიდის დროს დააკავეს თელავის „ყოფრემტექნიკის“ ქარხნის ქრომირების საამქროს მუშა თ. კევლიშვილი, რომელიც მთვრალი მართავდა საჭეს. თ. კევლიშვილის შეუფერებელი საქციელი განიხილეს ქარხნის კოლექტივის საერთო კრებამ და გაერთიანების ნეგატიურ მოვლენებთან ბრძოლის კომისიამ. კომისიამ ცნობად მიიღო, რომ თელავის ქარხნის ადმინისტრაციამ კოლექტივის მოთხოვნით თ. კევლიშვილი გაათავისუფლა სამსახურიდან.

განხორციელდა მთელი რიგი ღონისძიებანი ქარხანაში შრომის დისციპლინის შემდგომი განმტკიცებისათვის.

პარტიის ლაგოდეხის, მარნეულის რაიონული კომიტეტები, რესპუბლიკის შინაგან საქმეთა სამინისტრო

რესპუბლიკის გარეთ სოფლის მეურნეობის პროდუქტების უკანონოდ გატანას ეხებოდა ჩვენს გაზეთში დაბეჭდილი სარეიდო მასალა „უნებართვო ტვირთით კვლავ საშოვარზე“. ამის გამო რედაქციამ რამდენიმე პასუხი მიიღო, რომლებშიც გვატყობინებენ:

პარტიის ლაგოდეხის რაიკომის პირველი მდივანი ნ. ხატიაშვილი: მომხდარი ფაქტების ირგვლივ იმსჯელა სოფელ კაბლის სასოფლო საბჭოს აღმასკომის გაფართოებულმა სხდომამ, რომელზეც კაბლის კოლმეურნეობის წევრებს აიზ უმბათ ოღლისა და აივაზ ახმედ ოღლი მუსტაფაევებს გამოუცხადა საყვედური და მკაცრად გააფრთხილა, რომ განმეორების შემთხვევაში მათ მიმართ უფრო მკაცრი ზომები იქნება მიღებული, ხოლო სოფელ ჩადუნიანში მცხოვრებ კომუნისტ ა. ქმუტაშვილის საქციელზე იმსჯელა კოლმეურნეობის პირველადი პარტიული ორგანიზაციის კრებამ და მას გამოეცხადა საყვედური.

პარტიის მარნეულის რაიკომის მდივანი ი. ასლანოვი: „კომუნისტში“ გამოქვეყნებული სტატია რაიონის ყველა პარტიული ორგანიზაციის კრებებზე განიხილეს და დაისახა ღონისძიებები პროფილაქტიკური მუშაობის გასაუმჯობესებლად. ამასთან ყულარის სასოფლო საბჭოს აღმასკომის პარტიულმა ორგანიზაციამ იმსჯელა კომუნისტ ა. ბალაიანის საქციელზე და მას მკაცრი პარტიული სასჯელი დაადო. რაიონის განათლების განყოფილებამ სათანადო ზომები მიიღო იმ პედაგოგების მიმართ, რომლებიც ცდილობდნენ რესპუბლიკის გარეთ გაეტანათ სოფლის მეურნეობის პროდუქტები. შინაგან საქმეთა განყოფილებას დაევალა გააძლიეროს კონტროლი ასეთი ფაქტების აღსაკვეთად.

საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა მინისტრი გ. გვეტაძე: „კომუნისტში“ გამოქვეყნებული წერილი შინაგან საქმეთა სამინისტროს შესაბამისი სამსახურებისა და მისი ადგილობრივი ორგანოების მკაცრი მსჯელობის საგანი გახდა. სამინისტროს კოლეგიის გამსვლელ სხდომაზე მარნეულის რაიონის შინაგან საქმეთა განყოფილების უფროსი ა. ჯაფაროვი, ამავე განყოფილების სოციალისტური საკუთრების დატაცებისა და სპეკულაციის წინააღმდეგ მებრძოლი ქვეგანყოფილებისა და სახელმწიფო ავტოინსპექციის სამსახურთა უფროსები გ. ნეფარიძე და ო. კვანტალიანი, აგრეთვე მილიციის უბნის ინსპექტორი გ. მუსტაფაევი მკაცრად იქნენ გაფრთხილებული.

მარნეულის შინაგან საქმეთა საქალაქო განყოფილების არასაუწყებო დაცვის კონტროლიორის ტ. იზმერიანის მიერ რესპუბლიკის ფარგლებს გარეთ სოფლის მეურნეობის პროდუქტების უკანონოდ გატანის მცდელობის ფაქტი განიხილა კოლექტივის საერთო კრებამ, რომლის გადაწყვეტილებით იგი ჩამოქვეითდა დარაჯად.

გარდა ამისა, სტატიაში მოყვანილი ფაქტების შემოწმების შედეგები განიხილეს ბოლნისის, ლაგოდეხის და მცხეთის შინაგან საქმეთა რაიგანყოფილებების ოპერატიულ თათბირებზე. თანამშრომლებს, რომლებმაც ვერ უზრუნველყვეს სოფლის მეურნეობის პროდუქტების რესპუბლიკის ფარგლებს გარეთ გატანის ფაქტების აღკვეთა, მკაცრად მიეთითათ. ამ საკითხზე იმსჯელეს აგრეთვე შინაგან საქმეთა სამინისტროს სოციალისტური საკუთრების დატაცებისა და სპეკულაციის წინააღმდეგ ბრძოლის, სახელმწიფო ავტოინსპექციისა და არასაუწყებო დაცვის სამმართველოებმა. ადგილობრივ ორგანოთა ყურადღება მიეპყრო მოსახლეობაში პროფილაქტიკური მუშაობის გაძლიერებისა და შინაგან საქმეთა, საავტომობილო ტრანსპორტისა და ხილბოსტნეულის მეურნეობის სამინისტროების ერთობლივად შემუშავებული ღონისძიებების განუხრელ შესრულებას.

საქართველოს სსრ იუსტიციის სამინისტრო გვატყობინებს

დუშეთის რაიონის სოფელ გრემისხევის მკვიდრი, 26 წლის ირაკლი მიშელაშვილი გორის სამშენებლო ტრესტის მესამე უბანზე მუშაობდა. მისი ცხოვრება და საქმიანობა ჩვეულებრივად მიმდინარეობდა, ანაზღაურებაც კარგი ჰქონდა და კოლექტივის პატივისცემაც არ აკლდა, მაგრამ უზნეობისაკენ უფრო მიუწევდა გული. და აი ერთ ღამეს ფანჯრიდან გადაიპარა მარტოხელა ეკატერინე პაპუაშვილის ბინაში და მოხუცებულ ქალს დანის მუქარით 120 მანეთი გამოსძალა.

დუშეთის რაიონის სახალხო სასამართლომ ი. მიშელაშვილს მიუსაჯა შვიდი წლით თავისუფლების აღკვეთა, სასჯელის გაძლიერებული რეჟიმის შრომა-გასწორების კოლონიაში მოხდა და ქონების კონფისკაცია.

* * *

გოგი იაკობიძე 24 წლის ცოლშვილიანი კაცია, მაგრამ ოჯახურ მყუდროებას მრუდე გზით სიარული არჩია. წარსულში ხულიგნობისა და მოქალაქეთა პირადი ქონების ქურდობისათვის ორჯერ იყო მსჯავრდებული, უკანასკნელი სასჯელი 1982 წელს მოიხადა. ჰიათურელებს ეგონათ გონს მოეგებოდა, უპატრონებდა ოჯახს და პატიოსნად იცხოვრებდა, მაგრამ ამაოდ, ნარკომანობას მიჰყო ხელი. ერთ დღეს სხვა რესპუბლიკაში გაემგზავრა. უკან დაბრუნებისას იგი სოფელ მლეთასთან დააკავეს.

დუშეთის რაიონის სახალხო სასამართლომ გოგი იაკობიძეს სამი წლით აღუკვეთა თავისუფლება, მკაცრი რეჟიმის შრომა-გასწორების კოლონიაში მოხდით. მასვე შეეფარდა იძულებითი მკურნალობა.

* * *

მაიაკოვსკის რაიონის ავტოსატრანსპორტო საწარმოს მძღოლმა სურენ ჯავახიამ, რომელიც მამის კუთვნილ მსუბუქ მანქანას მართავდა, სოფელ ვარციხეში ვერ გამოიჩინა ჯეროვანი ყურადღება, დაარღვია მოძრაობის წესები და გზის სავალ ნაწილზე დაეჯახა მოქალაქე ე. კახიანს, რომელიც მიღებული ტრავმის შედეგად გარდაიცვალა. მაიაკოვსკის სახალხო სასამართლომ ს. ჯავახიას ხუთი წლით აღუკვეთა თავისუფლება და სამი წლით ჩამოართვა ავტოსატრანსპორტო საშუალებათა მართვის უფლება.

* * *

აბდულა ხალაფოვმა, სამ ათეულ წელს გადაბიჯებულმა ჯანღონით სავსე ოჯახიანმა კაცმა პატიოსან ცხოვრებასა და შრომას მრუდე გზით სიარული ამჯობინა. ადრე მან მოქალაქეთა პირადი ქონების ქურდობისათვის სასჯელი მოიხადა, მეორედ სახელმწიფო ქონების ქურდობისათვის აღუკვეთეს თავისუფლება, მაგრამ სასარგებლო შრომას მაინც არ დაუდო გული. მუდამ უსაქმურობაში ატარებდა დროს, რისთვისაც არაერთგზის ურჩიეს, გააფრთხილეს, მაგრამ უშედეგოდ. ამიტომაც საგარეჯოს რაიონის სახალხო სასამართლომ ამ უსაქმურსა და მუქთახორას ორი წლით აღუკვეთა თავისუფლება მკაცრი რეჟიმის შრომა-გასწორების კოლონიაში მოხდით.

* * *

ახალგაზრდა კაცია რევაზ სარიშვილი. იგი ლანჩხუთის რაიონის სოფელ ღრმაღელეში ცხოვრობს, მაგრამ ნამდვილი მუქთახორაა. ადრე ქურდობდა. ამისათვის სასჯელი მოიხადა, მაგრამ რა, არც შინაურს ინდობდა და არც სტუმარს. მთვრალმა მასთან ოჯახში სტუმრად მოსულ მოქალაქე გ. ღლონტს მოპარა გასაღები და გაიტაცა მისი ავტომანქანა. მართვის უფლების უქონლად მახარაძის რაიონის სოფლებში დაჯირითობდა. ერთხელაც ველარ დაიმორჩილა საჭე და ერთბაშად ორი მოქალაქის მანქანა დააზიანა, შემდეგ გატაცებული მანქანა მიატოვა და მიიმალა.

ლანჩხუთის რაიონის სახალხო სასამართლომ რ. სარიშვილს სამი წლითა და ექვსი თვით აღუკვეთა თავისუფლება მკაცრი რეჟიმის შრომა-გასწორების კოლონიაში მოხდით. მასვე დაეკისრა ზარალის ანაზღაურება.

* * *

ვლადიმერ იაცენკოს ქურდობის მრავალი ხერხი ჰქონდა შემუშავებული. რამდენჯერმე სასჯელიც მოიხადა, მაგრამ მის გამოსწორებას საშველი არ დაადგა. რაოდა, კარგი კაცი ვარო, ერთ ხანს თბილისის ექსპერიმენტულ ტყავის საწარმოში დაიწყო მუშაობა. როგორც გამოირკვა, ეს ყველაფერი მხოლოდ მოჩვენებითი იყო, სინამდვილეში კი მან პატიოსან შრომას კვლავ ძველი გზით სიარული ამჯობინა. ერთ მშვენიერ დღეს თბილისის ცენტრალურ საკოლმეურნეო ბაზარს ეწვია და ხილით მოვაჭრე მოქალაქეს გაუბა მასლაათი. დაიხელთა თუ არა დრო, დასტაცა ხელი მის ხელჩანთას და მიმალვას შეეცადა, მაგრამ დააკავეს და თბილისის პირველ მაისის რაიონის სახალხო სასამართლომ მას 4 წლითა და ექვსი თვით აღუკვეთა თავისუფლება მკაცრი რეჟიმის შრომა-გასწორების კოლონიაში მოხდით.

უცხოეთში

ფაქტები მოვლენები

22 ოქტომბერი ● საქდესი იუწყება

ლენინური გზით

ბულგარულ ენაზე გამოიცა ამხანაგ მ. ს. გორბაჩოვის სიტყვების, გამოსვლებისა და ინტერვიუების კრებული

სოფია. ბულგარეთის კომპარტიის გამომცემლობა „პარტიზდატმა“ ბულგარულ ენაზე გამოუშვა სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის მ. ს. გორბაჩოვის სიტყვების, გამოსვლებისა და ინტერვიუების კრებული „ლენინური გზით“. წიგნი იხსნება მისალმებით, რომელიც მ. ს. გორბაჩოვმა წარმოთქვა ბულგარეთში სოციალისტური რევოლუციის გამარჯვების 40 წლისთავისადმი მიძღვნილ სოფიაში გამართულ დღესასწაულზე.

კრებულში შევიდა სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1985 წლის მარტის პლენუმზე წარმოთქმული სიტყვა, სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1985 წლის აპრილის პლენუმზე გაკეთებული მოხსენება „სკკპ მორიგი, XXVII ყრილობის მოწვევისა და მის მომზადებასა და ჩატარებასთან დაკავშირებული ამოცანების შესახებ“, დიდ სამამულო ომში საბჭოთა ხალხის გამარჯვების 40 წლისთავისადმი მიძღვნილ კრემლის ყრილობათა სასახლეში გამართულ საზეიმო კრებაზე გაკეთებული მოხსენება, გამოსვლები შრომითს კოლექტივებთან შეხვედრების დროს, სკკპ ცენტრალურ კომიტეტში მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის დაჩქარების საკითხებისადმი მიძღვნილ თათბირზე გაკეთებული მოხსენება, პასუხი ამერიკის ჟურნალ „ტაიმისათვის“, საფრანგეთის პარლამენტარებთან შეხვედრაზე წარმოთქმული სიტყვა და სხვა დოკუმენტები.

იუწყება რა კრებულის გამოსვლას, ბულგარეთის დეპეშათა სააგენტო აღნიშნავს, რომ გამოქვეყნებულ მოხსენებებსა და გამოსვლებში განსაზღვრულია ლენინური პარტიის სტრატეგიული კურსი, რომელიც მიზნად ისახავს საბჭოთის განვითარების ყველაზე აქტუალური პრობლემების გადაწყვეტას. წიგნში მნიშვნელოვანი ადგილი, ხაზს უსვამს სააგენტო, უკავია მასალებს გამალებული შეიარაღების შეწყვეტის, ევროპასა და მთელ მსოფლიოში მშვიდობის შენარჩუნებისა და განმტკიცებისათვის ბრძოლის კარდინალურ საკითხებზე.

დელეგაციათა ჩამოსვლა

სოფია. სოფიაში ვარშავის ხელშეკრულების მონაწილე სახელმწიფოების პოლიტიკური საკონსულტაციო კომიტეტის მორიგი თათბირის მუშაობაში მონაწილეობის მისაღებად ჩამოვიდნენ დელეგაციები:

გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკისა — გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს თავმჯდომარის ე. ჰონეკერის მეთაურობით;

პოლონეთის სახალხო რესპუბლიკისა — პოლონეთის გაერთიანებული მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივნის, პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის ვ. იარუზელსკის მეთაურობით;

რუმინეთის სოციალისტური რესპუბლიკისა — რუმინეთის კომპარტიის გენერალური მდივნის, რუმინეთის სოციალისტური რესპუბლიკის პრეზიდენტის ნ. ჩაუშესკუს მეთაურობით;

უნგრეთის სახალხო რესპუბლიკისა — უნგრეთის სოციალისტური მუშათა პარტიის გენერალური მდივნის ი. კადარის მეთაურობით;

ჩეხოსლოვაკიის სოციალისტური რესპუბლიკისა — ჩეხოსლოვაკიის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის, ჩეხოსლოვაკიის სოციალისტური რესპუბლიკის პრეზიდენტის გ. ჰუსაკის მეთაურობით.

დელეგაციებს დახვდნენ ტ. ჟივკოვი, გ. ფილიპოვი, ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკის სხვა ხელმძღვანელი პარტიული და სახელმწიფო მოღვაწენი.

● იტალია

კონსულტაციები მთავრობის შესადგენად

რომი. იტალიის სოციალისტური პარტიის პოლიტიკურმა მდივანმა ბეტინო კრაქსიმ, რომელსაც პრეზიდენტმა კოსიგამ ახალი მთავრობის შედგენა დაავალა, დაიწყო პარტიათა ლიდერებთან კონსულტაციების სერია.

იგი უკვე შეხვდა კომუნისტური, ქრისტიანულ-დემოკრატიული, სოციალისტური პარტიის ხელმძღვანელებს, იტალიის კომპარტიის გენერალურმა მდივანმა ალესანდრო ნატამ ბეტინო კრაქსისთან მოლაპარაკებისას გამოთქვა „სერიოზული შეშფოთება ქვეყნის ეროვნული სუვერენიტეტისათვის ძირგამომთხრელი ცდების გამო“. როგორც ცნობილია, მწვავე სამთავრობო კრიზისი წარმოიშვა იტალიური გემის „აკილე ლაუროს“ გატაცებასთან დაკავშირებით შეერთებულ შტატებსა და იტალიას შორის ურთიერთობის მკვეთრი გამწვავების შედეგად.

● კუვეიტი

თავდაცვის მინისტრთა თათბირი

კუვეიტი. აქ მუშაობას შეუდგა სპარსეთის ყურის არაბული სახელმწიფოების თანამშრომლობის საბჭოს წევრი ქვეყნების თავდაცვის მინისტრთა თათბირი.

როგორც ადგილობრივი პრესა იუწყება, საუდის არაბეთის, კუვეიტის, ომანის, გაერთიანებული არაბული საამიროების, ბაჰრეინისა და კატარის სამხედრო უწყებათა ხელმძღვანელები განიხილავენ საერთო სამხედრო სტრატეგიის შემუშავების საკითხებს რეგიონში დაძაბულ ვითარებასთან დაკავშირებით.

თათბირის გახსნაზე გამოსვლისას კუვეიტის თავდაცვის მინისტრმა შეიხმა სალემ ას-საბაჰმა განაცხადა, რომ ერთიანი სამხედრო სტრატეგიისა და რეგიონის ქვეყნების სამხედრო თანამშრომლობის შემდგომი განმტკიცების გამომუშავების აუცილებლობა აიხსნება იმპერიალიზმისა და სიონიზმის გაძლიერებული აგრესიული ხრიკებით. მთელი არაბული სამყარო, მათ შორის ყურის რაიონიც, თქვა მან, გახდა ძირგამომთხრელი აქციების, მეკობრეობისა და განუწყვეტელი შეიარაღებული აგრესიის ობიექტი. ისრაელის შეჭრა ლიბანში, ერაყზე ისრაელის ავიაციის ბანდიტური თავდასხმა, ტუნისის გარეუბანში პალესტინის განთავისუფლების ორგანიზაციის შტაბ-ბინაზე ბარბაროსული თავდასხმა და სხვ. ყოველივე ეს სახელმწიფო ტერორიზმის პოლიტიკის გამოვლინებაა, რასაც ამერიკის შეერთებული შტატები და ისრაელი ახორციელებენ არაბი ხალხების მიმართ.

სახალხო დღესასწაულებზე

გაიხსნა ნიკო მარისა და ფიჩიკო ბენდელიანის სახლ-მუზეუმები

ყოველ წელს ახალ შინაარსს იძენს და მდიდრდება ჩოხატაურის რაიონში ტრადიციად დამკვიდრებული სახალხო დღესასწაული „ერისკაცობა“.

წლევანდელი ზეიმი გამორჩეული გახლდათ იმით, რომ დღესასწაულის დღეებში დიდი მეცნიერის ნიკო მარისა და საბჭოთა კავშირის გმირის, ლეგენდარული მფრინავის ფიჩიკო ბენდელიანის სახლ-მუზეუმებიც შეემატა რაიონის ღირსშესანიშნაობებს.

დიდძალი ხალხის თანდასწრებით პარტიის ჩოხატაურის რაიკომის პირველი მდივანი ზ. ერქომაიშვილი საზეიმო ვითარებაში ჭრის ლენტს და ქართველი მეცნიერები თუ ახლომახლო რაიონებიდან ჩამოსული სტუმრები პირველი დამთვალიერებელნი ხდებიან ნ. მარის სახლ-მუზეუმისა, სადაც წარმოდგენილია მეცნიერის ცხოვრებისა და შემოქმედების ამსახველი ექსპონატები, მისი 200-ზე მეტი უნიკალური ნაშრომი და პირადი ნივთები. დამთვალიერებლებს ახსნა-განმარტებას აძლევს ნ. მარის მოწაფე, პროფესორი იოსებ მეგრელიძე.

სახლ-მუზეუმის გახსნას დაესწრო მეცნიერის შვილთაშვილი იური მარი, რომელიც ლენინგრადში ცხოვრობს.

აი, პირველი ჩანაწერიც სახლ-მუზეუმის შთაბეჭდილებათა წიგნში: „ნიკო მარის სახლ-მუზეუმი ჩვენი ეროვნული კულტურის დიდი შენაძენია, მისი უკვდავი მემკვიდრეობის შესწავლა ყოველი ჩვენგანის ვალია“.

ამავე დღეს რაიონის კულტურის სახლში გაიმართა ნ. მარის დაბადების 120 წლისთავისადმი მიძღვნილი საიუბილეო-სამეცნიერო სესია, რომლის მუშაობაშიც მონაწილეობდნენ აკადემიკოსები გ. ჯიბლაძე და შ. ძიძიგური, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი ს. ცაიშვილი, თვალსაჩინო ქართველი მეცნიერები ლ. მენაბდე, ო. ლორთქიფანიძე, ი. მეგრელიძე, მ. გუგუშვილი, საქართველოს გეოგრაფთა საზოგადოების ვიცე-პრეზიდენტი ა. მარი და სხვები.

მადლიერი ხალხი არ ივიწყებს სახელოვან შვილებს, იმათ, ვინც თავი შესწირა სამშობლოს თავისუფლებას. ამის კიდევ ერთი დასტურია დაბის ცენტრში საბჭოთა კავშირის გმირი მფრინავის ფიჩიკო ბენდელიანის სახლ-მუზეუმის საზეიმოდ გახსნა.

ამაღელვებელი გახლდათ გმირის დედის მაშო ბენდელიანის სამადლობელი სიტყვა რაიონის ხელმძღვანელობისა და დამსწრე საზოგადოებისადმი მისი შვილის ესოდენ დაფასებისათვის.

ბ. ჩხაიძე,
„კომუნისტის“ საკ. კორ.

მეგობრობის, შრომის ზეიმი

დიდძალმა ხალხმა მოიყარა თავი რევოლუციური და შრომითი ტრადიციებით სახელგანთქმულ სოფელ ლიხნში.

ლიხნელთა სტუმრები [არიან] მათთან შეჯიბრებაში ჩაბმული მეგობრებიც ცხაკაიასა და უკრაინის ხერსონის ოლქის სკადოვსკის რაიონებიდან.

..გაისმის საზეიმო მოწოდება. ტრიბუნაზე არიან პარტიული, საბჭოთა, პროფკავშირული და კომკავშირული ხელმძღვანელი მუშაკები.

საპატიო სტუმრებს შორის არიან ბელორუსიის სსრ კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანი ნ. დემენტეი, ესტონეთის სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე ხ. ველდი, ბელორუსიის სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე კ. ტერეხი, პარტიის მოგილიოვის საოლქო კომიტეტის პირველი მდივანი ვ. ლეონოვი.

..მშვენიერია საზეიმო სვლა მხედრიონისა, რომელსაც სამგზის სსრ კავშირის ჩემპიონი, საერთაშორისო შეჯიბრებათა არაერთგზის გამარჯვებული, საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატი ხარლამ სიმონია მოუძღვის.

მაყურებელთა მოწონებას იმსახურებს ქორეოგრაფიულ-მუსიკალური კომპოზიცია „აფხაზური ქორწილი“, გუდაუთის რაიონის კულტურის სახლის ანსამბლის „რიწის“, ბავშვთა ქორეოგრაფიული კოლექტივის, თვითმოქმედი მსახიობებისა და ხანდაზმულთა ანსამბლის გამოსვლები.

იმართება შეჯიბრება „ისინდსა“ და „ცხენბურთში“, რის შემდეგაც სპორტული პროგრამა მარულით მთავრდება.

უჩვეულოდ გამოიყურება ლიხნის მინდორი, საზეიმოდ მორთავთ კოპწია სახლები, ფაცხები, სხვა სამეურნეო ნაგებობანი; ოცზე მეტი სოფლის წარმომადგენლები სტუმრებს აცნობენ ხალხის წეს-ჩვეულებებსა და ხელოვნებას.

მინდორს ამაყად გადმოჰყურებს ლიხნელთა ადმინისტრაციულ-კულტურული კომპლექსი, რომლის ნათელ დარბაზებში გამოფენილია აფხაზეთის მხატვართა ნამუშევრები და გამომცემლობა „ალაშარას“ მიერ გამოშვებული წიგნები.

დღესასწაული გვიან საღამომდე გაგრძელდა, დიდხანს გაისმოდა სიმღერები მეგობრობასა და ძმობაზე.

ი. გოგეჩია,
„კომუნისტის“ საკ. კორ.

მადლიერი შთამომავლობა სასოებით ინახავს დიდი ქართველი მხატვრის ნიკო ფიროსმანაშვილის ხსოვნას.

წლევანდელ „ფიროსმანობას“ თვალსაჩინო შრომითი პატაკებით შეხვდნენ წითელწყაროს რაიონის სოფელ მირზაანის მშრომელები, [რომლებმაც] თავიანთი წარმატებების ამსახველი ექსპონატები გამოფინეს ლამაზად გაფორმებულ პავილიონებში.

დღესასწაულის მონაწილეებმა და სტუმრებმა დაათვალიერეს ნ. ფიროსმანაშვილის მუზეუმის განახლებული ექსპოზიცია.

ზეიმი გახსნა პარტიის წითელწყაროს რაიკომის პირველმა მდივანმა დ. სავანელმა, სიტყვა წარმოთქვეს მირზაანის კოლმეურნეობის თავმჯდომარემ შ. ბიკაშვილმა და სოფელ ჯაფარიძის კოლმეურნეობის თავმჯდომარემ, სოციალისტური შრომის გმირმა ნ. ყოჩიაშვილმა.

ზეიმს ეწვივნენ ბულგარელი პოეტები — ბულგარეთში გამოცემული „თანამედროვე ქართული პოეზიის ანთოლოგიის“ შემდგენელი ნიკოლა კინჩიევი და დიმიტრი მილოვი.

ალექსანდრე ჭავჭავაძის მიერ ჯერ კიდევ XIX საუკუნის დამდეგს გაშენებულ წინანდლის ბაღში გაიმართა პოეტის ხსოვნის უკვდავსაყოფად მოწყობილი ეს სახალხო დღესასწაული.

ზეიმს თელავის რაიონის ათასობით მცხოვრებთან ერთად, მრავალი სტუმარი ეწვია თბილისიდან, რესპუბლიკის ქალაქებიდან და რაიონებიდან, რათა კიდევ ერთხელ მიეგოთ პატივი ქართული კულტურის ერთ-ერთი თვალსაჩინო წარმომადგენლისათვის.

„ალექსანდრეობა“ ყოველ წელს რაიმე ახლით, საინტერესოთი ახარებს სტუმრებს. და ამჯერადაც წინანდლის კულტურის სახლში გაიხსნა თვითნასწავლი მხატვრების — თელავის პედაგოგიური ინსტიტუტის სტუდენტების ხ. სესიაშვილისა და მ. ტუსიშვილის, მშენებელი ინჟინრის გ. კუპატაძის ნამუშევრების გამოფენა.

დღესასწაულზე სიტყვა წარმოთქვეს კულტურის სახალხო უნივერსიტეტის რექტორმა გ. ჯავახიშვილმა, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორმა ს. ხუციშვილმა, რესპუბლიკის დამსახურებულმა არტისტებმა ც. დადიანმა, და თ. ბაქრაძემ, პოეტებმა მ. კახიძემ და ნ. გურეშიძემ.

ახალი წარმატებებით აღნიშნეს შრომისა და ინტერნაციონალური მეგობრობის ტრადიციული დღესასწაული „ჰერეთობა“ ლაგოდეხის რაიონის მშრომელებმა. დღესასწაულს დაესწრნენ რესპუბლიკის სხვადასხვა კუთხიდან ჩამოსული სტუმრები, აზერბაიჯანის, ზაქათლის, ბელაქნისა და კახის რაიონების მშრომელთა დელეგაციები, რომლებსაც ემეგობრებიან და ეჯიბრებიან ლაგოდეხელები. მასპინძლებმა სტუმრებს დაათვალიერებინეს სასოფლო-სამეურნეო გამოფენა, რომელიც თვალსაჩინოდ ასახავს ლაგოდეხის მშრომელი კოლექტივების მიღწევებს, რაიონის განვითარების პერსპექტივას.

ზეიმის გახსნისას პარტიის ლაგოდეხის რაიკომის მეორე მდივანმა ბ. ლომიძემ აღნიშნა, რომ ამჟამად ოცზე მეტი ეროვნების წარმომადგენელი ცხოვრობს და შრომობს ერთსულოვან, შეხმატკბილებულ ოჯახად ჰერეთის მიწა-წყალზე. სწორედ მათ გაუთქვეს ლაგოდეხს რესპუბლიკაში ერთ-ერთი მოწინავე რაიონის სახელი.

დღესასწაულზე გამოაცხადეს რაიონის საპატიო მოქალაქეთა სახელები. იმათ შორის, ვისაც ეს დიდი პატივი ხვდა, არიან პერსონალური პენსიონერი, პედაგოგი მ. კიკალაშვილი, მოწინავე ბრიგადირი გ. გრიგალაშვილი და სხვები.

შრომისა და ინტერნაციონალური მეგობრობის დღესასწაულის დასასრულს გაიმართა სახალხო სეირნობა, სპორტული ასპარეზობა, მხატვრული თვითმოქმედი კოლექტივების გამოსვლები.

(„კომუნისტის“ კორ.).

ჭადრაკი

მსოფლიო პირველობა ჭადრაკში

მეთვრამეტე პარტია

გუშინ მოსკოვში გაიმართა ანატოლი კარპოვისა და გარი კასპაროვის მატჩის მეთვრამეტე პარტია, რომელშიც თეთრებით თამაშობდა კარპოვი. 23-ე სვლაზე მეტოქენი ყაიმზე შეთანხმდნენ.

ტრადიციული, საერთაშორისო...

თბილისის საერთაშორისო ტურნირის ცხრა ტურის შემდეგ გადადებული პარტიების დამთავრებას შეჯიბრების ცხრილში სიცხადე უნდა შეეტანა.

ლევიტინა თამაშის განუახლებლად დანებდა არახამიას. ეს მისი პირველი დამარცხებაა. ჯერჯერობით მხოლოდ ორ მონაწილეს — არახამიასა და ახმილოვსკაიას არ წაუგიათ. არახამიამ ითამაშა ადრე გამოტოვებული პარტია ვერეცი-პეტრონიჩთან, მალე გაათანაბრა პოზიცია და დათანხმდა თეთრების მიერ შეთავაზებულ ყაიმზე. ლევიტინამ ჯერ ყაიმით დაასრულა შეხვედრა ჩელუშკინასთან, შემდეგ კი ზუსტად გამოიყენა ზედმეტი პაიკი ლაზიერების ენდშპილში ჰაიკოვასთან და მოიგო. ლენინგრადელმა დიდოსტატმა ვერ მოასწრო კიდევ ერთი გადადებული პარტიის დამთავრება ხუგაშვილთან, სადაც მას უკეთესი პოზიცია აქვს. ლაზარევიჩმა მოუგო ჰაიკოვას და თამაშის განუახლებლად დანებდა ახმილოვსკაიას. ლაგვილავა და გარსია ყაიმზე შეთანხმდნენ. რამდენიმე პარტია ცვლავ გადაიდო.

9 ტურის შემდეგ არახამიას 8 შესაძლებლიდან 6,5 ქულა აქვს და ერთპიროვნულად ლიდერობს. აღსანიშნავია, რომ მან უკვე მოიპოვა საერთაშორისო ოსტატის მეორე ბალი, რაც 17 წლის სტუდენტის დიდი წარმატებაა. ლევიტინამ 9 პარტია ითამაშა, 5,5 ქულა დააგროვა და 1 პარტია გადადო. ახმილოვსკაიას 8 ნათამაშევი პარტიიდან 5,5 ქულა აქვს, იოსელიანს — ამდენივე პარტიიდან 4,5.

გუშინ შეჯიბრების მონაწილენი ისვენებდნენ. დღეს მორიგ, მეათე ტურში არახამია თეთრებით ეთამაშება ჩეხოსლოვაკიელ ჰაიკოვას.

გ. გამრეკელი.

სატურნირო ორბიტა

ბატუტზე ხტომა. ვორონეჟში დამთავრებულ საკავშირო ჩემპიონატზე ინდივიდუალურ ხტომებში პირველი ადგილები მოიპოვეს ვიტებსკელმა ლ. ივანოვამ და ნიკოლაეველმა ვ. კრასნოშაპკამ, სინქრონულ ხტომებში — ვორონეჟელმა ე. ბობოვამ და სტავროპოლელმა მ. ტოლჩინამ, აგრეთვე კრასნოდარელმა ი. ბოგაჩოვმა და კრასნოშაპკამ.

მძლეოსნობა. ჩიკაგოში გამართულ შეჯიბრებაში 10000-მა მარათონელმა მიიღო მონაწილეობა. ვაჟთა შორის უძლიერესი გახლდათ 30 წლის ინგლისელი სტაიერი სტივ ჯონსი (2:07. 13). ქალებში ყველას აჯობა ჯოან ბენოიტ-სამუელსენმა (აშშ; 2:21,21).

კალათბურთი. რიგასა და ვილნიუსში გრძელდება ვაჟთა გუნდების საკავშირო ჩემპიონატის მეორე ეტაპი. მორიგ მატჩთა შედეგები ასეთია: რიგა. კაუნასის „ჟალგირისი“-ტაშკენტის „უნივერსიტეტი“ — 112:77, რიგის „ვეფ“-თბილისის „დინამო“—114:89, კიევის „სტროიტელი“ მოსკოვის „დინამო“—109:104; ვილნიუსი. ცსკა-კუიბიშევის „სტროიტელი“ — 84:63, ვილნიუსის „სტატიბა“-მინსკის რტი-59:57, ლენინგრადის „სპარტაკი“ კიევის ასკ — 80:79. პირველი წრის 7-7 შეხვედრის შემდეგ ლიდერობენ „ჟალგირისი“ — 14 ქულა, „სპარტაკი“ და ცსკა — 13:13. თბილისის „დინამო“ 8 ქულით მეათე ადგილზეა.

რეგბი. ბუქარესტში გაიმართა ევროპის 22-ე ჩემპიონატის სასტარტო მატჩი რუმინეთისა და სსრ კავშირის ნაკრებ გუნდებს შორის. შეხვედრა მოიგეს მასპინძლებმა ანგარიშით 16:12.

ჭადრაკი. საფრანგეთის ქალაქ მონპელიეში მიმდინარე ვაჟთა შორის მსოფლიო პირველობის პრეტენდენტთა შეჯიბრების ლიდერმა — იუსუპოვმა მეშვიდე ტურში ყაიმით დაამთავრა შეხვედრა შორტთან და ახლა 4,5 ქულა აქვს. სპასკი დაუზავდა ტალს, ჩერნინმა დაამარცხა სპრაგეტი, სმისლოვი კი დანებდა ნოგეირასს. სოკოლოვ-პორტიშის, ბელიავსკი-სეირავანის, კორჩნოი-ვაგანიანის და რიბლი-ტიმანის პარტიები გადაიდო.

გადადებული პარტიების დამთავრებისას სოკოლოვმა მოუგო პორტიშს, ხოლო ვაგანიანმა დაამარცხა კორჩნოი. ყაიმით დამთავრდა ბელიავსკი-სეირავანის, რიბლი-ტიმანის პარტიები.

ამრიგად, ლიდერს კვალდაკვალ მიჰყვებიან სოკოლოვი, ტალი და ნოგეირასი — 4-4 ქულით.

სოციალისტურ ქვეყნებში

● ჩეხოსლოვაკია

თანამშრომლობა ვითარდება

პრაღა. საბჭოთა წარმოების მუშაკთა ნოვატორული მეთოდების ფართოდ დანერგვა ოსტრავის კ. გოტვალდის სახელობის „ნოვა გუტას“ კომბინატის მეტალურგთა შრომითი გამარჯვებების საფუძველია.

დარგის უდიდესი საწარმოს 200-ზე მეტმა სოციალისტური შრომის ბრიგადამ გადაიღო საბჭოთა მოწინავე ბრიგადების გამოცდილება. კომბინატში წარმატებით მოქმედებს საბჭოთა ნოვატორული მეთოდების გამავრცელებელი მეთოდიკური საბჭო. სწრაფი ტემპით ვითარდება უშუალო მეცნიერულ-ტექნიკური თანამშრომლობა. ოსტრაველი სპეციალისტები სვერდლოვსკელ კოლეგებთან ერთად ეძებენ კოქსის წარმოების ტექნოლოგიის სრულყოფის გზებს.

● კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკა

პირველი გრძელვადიანი შეთანხმება

ფხენიანი. აქ ხელი მოაწერეს სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიასა და კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის მეცნიერებათა აკადემიას შორის 1986-1990 წლების მეცნიერული თანამშრომლობის გეგმას.

ორი ქვეყნის სამეცნიერო ცენტრების ურთიერთობის ისტორიაში ეს პირველი გრძელვადიანი შეთანხმებაა თანამშრომლობის შემდგომი განვითარების მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის დაჩქარების მიზნით. დოკუმენტის თანახმად მოეწყობა ერთობლივი კვლევა ახალ ტექნოლოგიათა შესაქმნელად, კომპლექსურად გამოიყენებენ ბუნებრივ რესურსებს. გათვალისწინებულია აგრეთვე მეცნიერთა და სპეციალისტთა ურთიერთგაცვლა, კონფერენციების, სიმპოზიუმებისა და სხვა სამეცნიერო ღონისძიებების გამართვა.

● პოლონეთი

ქართული პოეზიის ანთოლოგია

ვარშავა. ლოძის გამომცემლობამ, რომელიც მრავალეროვნული საბჭოთა ლიტერატურის ნაწარმოებების თარგმანზე სპეციალდება, გამოსცა ქართული პოეზიის ანთოლოგია. პოლონელი მკითხველი გაეცნობა ქართველი პოეტების ნაწარმოებებს უძველესი დროიდან დღემდე.

ქართული ლიტერატურის კლასიკოსთა ლექსების არჩევისა და დასაბეჭდად მომზადებისათვის დიდი მუშაობა გასწია პოლონელმა პოეტმა და მთარგმნელმა ი. სიკირიცკიმ. შესავალი სტატია, რომელშიც გაშუქებულია ქართული პოეზიის ბედი მისი ისტორიის მანძილზე, ეკუთვნის ცნობილ პოლონელ მწერალსა და ლიტერატურათმცოდნეს ფ. ნეუვაჟნის. წიგნი უხვად არის ილუსტრირებული.

● ეგვიპტე

ემისრის რთული მისია

კაირო. იმის გამო, რომ ეგვიპტეში ძლიერდება ანტიამერიკული განწყობილება ამერიკული ავიაგამანადგურებლების მიერ ხმელთაშუა ზღვის თავზე ეგვიპტის ავიალაინერის მეკობრულად ხელში ჩაგდებასთან დაკავშირებით, თეთრმა სახლმა კაიროში გაგზავნა შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივნის პირველი მოადგილე ჯ. უაითჰედი.

მისი ამოცანაა „დააცხროს დაძაბულობა“, რომელიც წარმოიშვა ორ ქვეყანას შორის ურთიერთობაში ანტიეგვიპტური აქციის შედეგად.

— ფოტოინფორმაცია —

მეგობრობის სიმბოლო

რუსეთ-ბულგარეთის მეგობრობის სიმბოლოს უწოდებენ ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკაში ქალაქ პლევენს.

ყოველდღიურად ათასობით ბულგარელ და უცხოელ ტურისტს იზიდავს ქალაქის ერთ-ერთ ბორცვზე აგებული პანორამა „პლევენის 1877 წლის ეპოპეა“—რუსი და ბულგარელი ხალხების იმ შვილთა დიდების გრანდიოზული ძეგლი, რომლებმაც თავი დადეს ოსმან დამპყრობთა წინააღმდეგ ბრძოლაში.

ეს ძეგლი-მუზეუმი შექმნეს პლეველმა არქიტექტორებმა და მოსკოვის მ. გრეკოვის სახელობის სტუდიის მხატვრებმა.

სურათზე: პანორამასთან „პლევენის 1877 წლის ეპოპეა“.
საქდესის ფოტო.

● ჰოლანდია

მოწოდება მთავრობისადმი

ჰააგა. სამ მილიონზე მეტმა ჰოლანდიელმა მოაწერა ხელი მთავრობისა და პარლამენტისადმი მოწოდებას უარი თქვან ქვეყანაში ამერიკული ფრთოსანი რაკეტების განლაგებაზე. ხელმოწერათა შეგროვება გრძელდება. იგი დამთავრდება 26 ოქტომბერს მრავალათასიანი მანიფესტაციით ჰააგაში.

— გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში —

ნიკარაგუა არასოდეს დაიჩოქებს

დ. ორტეგას გამოსვლა გენერალური ასამბლეის სესიაზე

ნიუ-იორკი. ნიკარაგუა არასოდეს დაიჩოქებს სახელმწიფო ტერორიზმის პოლიტიკის წინაშე, რომელსაც მის წინააღმდეგ ახორციელებს ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობა, განაცხადა ნიკარაგუის პრეზიდენტმა დანიელ ორტეგამ.

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის მე-40 სესიაზე გამოსვლისას მან აღნიშნა, რომ შეერთებული შტატების მიერ გაჩაღებულმა აგრესიულმა ომმა უკვე იმსხვერპლა 11 ათასი კაცი, დაჭრილია 5 ათასი, გატაცებულია ამდენივე ნიკარაგუელი, დანგრეულია ასობით სკოლა, სამედიცინო ცენტრი, სამეურნეო ობიექტი, გლეხთა კოოპერატივი, სოფელი.

კონტადორული ჯგუფის სამშვიდობო ძალისხმევასა და გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მოწოდებებს ცენტრალურ ამერიკაში კონფლიქტის მშვიდობიანი მოწესრიგების თაობაზე უგულებელყოფს ამერიკის ადმინისტრაცია. იგი აძლიერებს აგრესიას ნიკარაგუის წინააღმდეგ, უარს ამბობს სალვადორში კონფლიქტის მოლაპარაკების გზით მოწესრიგებაზე, აღნიშნა ორტეგამ. მთავარი და ერთადერთი დაბრკოლება კონტადორული ჯგუფის სამშვიდობო ძალისხმევის გზაზე სახელმწიფო ტერორიზმის პოლიტიკაა, რომელსაც წარმართავს და აფინანსებს შეერთებული შტატების მთავრობა. მხოლოდ ვაშინგტონის ადმინისტრაციის მიერ ამ აგრესიის შეწყვეტა შექმნის ცენტრალურ ამერიკაში ნამდვილი მშვიდობის დამყარების პირობებს.

● სალვადორი

ამაო ცდები

ჰავანა. სალვადორის ანტიხალხური რეჟიმი ვაშინგტონის მითითებით ამუშავებს ცენტრალური ამერიკის ამ ქვეყანაში სისხლისმღვრელი სამოქალაქო ომის გამკაცრების გეგმებს.

როგორც სალვადორის მაღალი თანამდებობის სამხედრო პირებმა განაცხადეს, ახლო მომავალში მეამბოხეთა მოძრაობის ჩასახშობად გამოიყენებენ რეჟიმის განკარგულებაში მყოფ ყველა ძალებს.

როგორც პრენსა ლატინას სააგენტო იუწყება, პრომერიკული რეჟიმი ცდილობს რადაც უნდა დაუჯდეს შეაჩეროს ფარაბუნდო მარტის სახელობის ეროვნული განთავისუფლების ფრონტის მძლავრი შეტევა. მაგრამ მისი ცდები, მიაღწიოს ამ მიზანს, იფუშება, რასაც მოწმობს მეამბოხეთა საბრძოლო წარმატებები.

ანტიხალხური რეჟიმი ამუშავებს მზაკვრულ გეგმებს

ამასთან ეროვნული განთავისუფლების ფრონტი მოუწოდებს დუარტეს რეჟიმს განაახლოს მისი მიზეზით ჩაშლილი მშვიდობიანი დიალოგი, რათა ბოლო მოეღოს შემდგომ სისხლისღვრას. მაგრამ მარიონეტული რეჟიმი აყენებს დიალოგის გაგრძელების მიუღებელ პირობებს და ამით ხელს უწყობს ეროვნული კონფლიქტის გაღრმავებას.

მტკიცე პროტესტი

ბელგრადი. იუგოსლავიის კომპეტენტურმა ორგანოებმა ამერიკის მხარეს მტკიცე პროტესტი განუცხადეს იმასთან დაკავშირებით, რომ ამერიკის შეერთებული შტატების სამხედრო-საზღვაო ფლოტის ავიამზიდმა „სარატოგამ“ ამას წინათ დაარღვია დუბროვნიკის ნავსადგურში შესვლის პირობები.

აქ გამართულ პრესკონფერენციაზე იუგოსლავიის სოციალისტური ფედერაციული რესპუბლიკის საგარეო საქმეთა საკავშირეო სამდივნოს ოფიციალურმა წარმომადგენელმა თქვა, რომ იუგოსლავიის ხელისუფალნი, ითვალისწინებენ ამერიკის მხარის მტკიცე დაპირებას იმის შესახებ, რომ ამერიკის ეს სამხედრო ხომალდი იუგოსლავიის სანაპიროზე მისვლამდე და მისვლის შემდეგაც მონაწილეობას არ მიიღებს რაიმე სამხედრო აქციებში. მაგრამ დაპირების მიუხედავად, როგორც გამოირკვა, ავიამზიდი დუბროვნიკში შევიდა უშუალოდ მას შემდეგ, რაც მონაწილეობა მიიღო ეგვიპტის სამგზავრო თვითმფრინავის ხელში ჩაგდებაში.

იუგოსლავიის კომპეტენტურმა ორგანოებმა უარყვეს, როგორც „იურიდიულად დაუსაბუთებელი“, ამერიკის შეერთებული შტატების 12 ოქტომბრის ნოტა, რომლითაც ამერიკის მხარე მოითხოვდა [დაეპატიმრებინათ] და მისთვის გადაეცათ პალესტინის განთავისუფლების ორგანიზაციის აღმასკომის ერთ-ერთი წევრი, რომელიც იუგოსლავიის სოციალისტური ფედერაციული რესპუბლიკის გავლით ტრანზიტით მიემგზავრებოდა.

ჩვენს ტელეეკრანებზე

მოსკოვი

23 ოქტომბერი

პირველი პროგრამა. 9.00 — „ვრემია“. 9.35 — „ვისწავლოთ ლენინისაგან“. 10.00 — „ჩემი რესპუბლიკა“. III ნაწილი. 11.15 — მოგზაურთა კლუბი. 12.15 და 15.30. — ახალი ამბები. 15.50 — „სოფლის ჰორიზონტები“. 16.25 — ხალხური მელოდიები. 16.40 — ცოდნა ძალაა. 17.30 — კონცერტი. 18.15 — „... თექვსმეტ წლამდე და უფროსი ასაკისა“. 19.00 — ფეხბურთი: თასების მფლობელთა თასი. მერვედფინალი. რუმინეთის „უნივერსიტატია“ — კიევის „დინამო“. მე-2 ტაიმი. 19.45 — დღეს მსოფლიოში. 20.00 — ფეხბურთი. უეფას თასი. მეთექვსმეტედფინალი. მოსკოვის „სპარტაკი“ — ბელგიის „ბრიუგე“. შესვენებისას — 20.45 — ახალი ამბები. 21.45 — თუ გინდა ჯანმრთელი იყო. 22.00 — „ვრემია“. 22.35 — ევროპის ჩემპიონთა თასი. მერვედფინალი. „ზენიტი“ — ფინეთის „კუუსიუსი“. მე-2 ტაიმი. 23.20 — დღეს მსოფლიოში. 23.30 — უეფას თასი. მეთექვსმეტედფინალი. ჰოლანდიის „ეინდჰოვენი“ — „დნეპრი“.

მეორე პროგრამა. 9.00 — დილის ვარჯიში. 9.15 და 19.50 — დოკუმენტური ტელეფილმები. 9.35 და 10.35 — გეოგრაფია. VII კლასი. 10.05 და 13.55 — გერმანული ენა. 11.05 — ასტრონომია. 11.35 და 12.40 — ზოგადი ბიოლოგია. მე-9 კლასი. 12.05 — ოჯახი და სკოლა. 13.10 — ა. ტოლსტოი. ნაწარმოებთა კვალდაკვალ. 14.25 — დ. შოსტაკოვიჩი. 15.10 — ბუნებისმეტყველება. II კლასი. 15.30 — „ივანე მელეჟის ბედი და წიგნები“. 16.15 — და 19.00 — ახალი ამბები. 19.15 — თანამეგობრობა. 20.05 — პოეზია. ე. ვინოკუროვი. 21.00 — „ძილი ნებისა, პატარებო!“. 21.20 — „მუსიკალური კიოსკი“. 21.50 — სამეცნიერო-პოპულარული ფილმი. 22.00 — „ვრემია“. 22.35 — კინოკომედია „უმისამართო ქალიშვილი“. 24.00 — ახალი ამბები.

თბილისი

23 ოქტომბერი

პირველი პროგრამა. 9.00 — „ვრემია“. 9.35 — მოამბე. 10.05 — მხატვრული ფილმი „ნიტარეკია“. 11.15 — „მოგზაურთა კლუბი“ (მ.). 12.15 — მულტიპლიკაციური ფილმი. 12.30 — ჩვენს დიად სამშობლოში — სატელევიზიო დოკუმენტური, ფილმი „წყნარი დონის მხარეში“. 13.00 — მათემატიკის ტელეკურსი (სტუდიაშია გ. გორგოძე). 13.30 — საინფორმაციო გამოშვება. 13.45 — მოკლემეტრაჟიანი მხატვრული ფილმი „ვერა და ოევდორე“. 16.05 — საინფორმაციო გამოშვება (რუსულ ენაზე). 16.15 — შევისწავლოთ გერმანული ენა (სტუდიაშია ნ. ცინცაძე). 16.45 — თბილისის კინოთეატრების ეკრანებზე. 16.55 — სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი „ავტოსერვისი“. 17.15 — საბჭოური ცხოვრების წესი — დოკუმენტური ფილმი „მუშური ღირსება“. 17.45 — განცხადებები. 17.50 — მულტიპლიკაციური ფილმი. 18.10 — მოსწავლეთათვის — „შვიდი სიხარული“. 18.30 — სკკპ XXVII ყრილობის შესახვედრად. „დაინერგა წარმოებაში“. 19.00 — ფეხბურთი თასის მფლობელთა თასზე. ფინალის 1/8 რუმინეთის „უნივერსიტატია“ — კიევის „დინამო“. II ტაიმი. რეპორტაჟი რუმინეთიდან. 19.45 — დღეს მსოფლიოში (მ.). 20.00 — მოამბე. 20.30 — კალათბურთი სსრ კავშირის პირველობაზე. თბილისის „დინამო“ — კაუნასის „ჟალგირისი“. 21.00 — ფეხბურთი „უეფას“ თასზე. ფინალის 1/16. მოსკოვის „სპარტაკი“ — ბელგიის „ბრიუგე“. II ტაიმი. რეპორტაჟი „დინამოს“ ცენტრალური სტადიონიდან (მ.). 21.45 — კინოჟურნალი. 22.00 — „ვრემია“. 22.35 — ფეხბურთი ევროპის ჩემპიონთა თასზე. ფინალის 1/8. ლენინგრადის „ზენიტი“ — ფინეთის „კუუსიუსი“. II ტაიმი. (რეპორტაჟი ლენინგრადიდან). 23.20 — საინფორმაციო გამოშვება. 23.30 — ფეხბურთი „უეფას“ თასზე. ფინალის 1/16. ჰოლანდიის „ეინდჰოვენი“ — დნეპროპეტროვსკის „დნეპრი“. (რეპორტაჟი ჰოლანდიიდან).

მეორე პროგრამა. 16.25 — სატელევიზიო მხატვრული ფილმი „ჩემი ბედი“. II სერია. 17.55 — სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი „ფიქრი ზღაპარზე“. 18.10 — მოსწავლეთათვის — მათემატიკა.

თეატრი

23 ოქტომბერი

ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიური — გედის ტბა (პრემიერა); თბილისის სახელმწიფო დრამატული — ტოოტების ოჯახი; აბაშიძის სახელობის მუსიკალური კომედიის — ჩემი საყვარელი ბიძა; მინიატიურების სახელმწიფო — პაემანი ხეზე ანუ ბესარიონის თავგადასავალი; მოზარდ მაყურებელთა ქართული — თავფარავნელის ბალადა (აბონ. № 29); ფილარმონია — მღერის 8. ადამაძე (კონსერვატორიის მცირე დარბაზში).

გაზეთ „კომუნისტის“ შემდეგი ნომერი გამოვა პარასკევს, 25 ოქტომბერს.

რედაქტორი
გ. ბედინეიშვილი

КОМУНИСТИ ИНДЕКС 66434 უე 06367 საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის შრომის წითელი დროშის ორდენოსანი სტამბა, ლენინის ქ. 14, იბეჭდება ოფსეტური წესით. საგაზეთო კორპუსი, ხოშარაულის 29.

1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14